საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 4 ოქტომბერი. 2018 წ. №196 (8597) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

თანამედროვე ბოროტი ქართველთ-მოძულეობა

ფრიდონ თოდუა – ჭეშმარიტი მამულიშვილი და დიდი მეცნიერი 5

მამუკა ბახტაძე: ქვეყანაში შფოთვის შემოტანა 2 არანაირ პოლიტიკურ ძალას არ გამოუვა

„ვაქებ ჭკუათა ბრძენთასა“...

ასე ამბობდა სალვადორ დალი 6-7

თვალი გავუსწოროთ სიმართლეს!

„ქართული ოცნების“ 6 წლის მონაგარი:

- ჩამოყალიბდა ადამიანის ღირსების პატივისცემაზე ორიენტირებული სახელმწიფო;
- აღიკვეთა ძალადობა და პატიმრების სისტემური წამება;
- 2.5 -ჯერ შემცირდა ციხეებში პატიმრების რაოდენობა, 12-ჯერ კი მათი სიკვდილიანობა;
- სახელმწიფო სისასტიკეს აღარ უპირისპირებს შეკრებისა და მანიფესტაციების თავისუფლებას;
- აღიკვეთა ელიტური კორუფცია და ბიზნესის ტოტალური რეკეტის პრაქტიკა;
- უზრუნველყოფილია მედიაპლურალიზმი, დასრულდა ხელისუფლების ტოტალური მონოპოლია მედიასაშუალებებზე;
- თვისებრივად გაუმჯობესდა ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ხარისხი;
- გაღრმავდა სტრატეგიული თანამშრომლობა ევროკავშირთან, ნატოსა და აშშ-თან, საქართველო არასდროს ისე ახლოს არ ყოფილა დასავლეთთან, როგორც დღეს;
- უზრუნველყოფილია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ურყევი მხარდაჭერა საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან.
- ამ 6 წლის განმავლობაში ხელისუფლებას არ ჩაუდენია არც ერთი დანაშაული, მით უმეტეს, სისტემური დანაშაული ქვეყნისა და ხალხის მიმართ.

მთავარ გამოწვევად რჩება:

- ეკონომიკის განვითარება და მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- სიღარიბის მთლიანად აღმოფხვრა;
- ადამიანებისთვის თვითრეალიზების შესაძლებლობების მიცემა, საზოგადოების ინტელექტუალურ და სულიერ განვითარებაზე ზრუნვა;
- მეგობარ ქვეყნებთან პარტნიორობის განმტკიცება, ევროკავშირისა და ნატოს სრულუფლებიანი წევრობის მიღწევა;
- თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმა სეპარატისტული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დასაბრუნებლად, საქართველოს გასაერთიანებლად.

მამუკა ბახტაძე: საქართველოსა და აშშ-ის ურთიერთობები კიდევ უფრო მტკიცე და თვისობრივად სრულიად ახალ ეტაპზეა!

როგორც მთავრობის მეთაურმა მამუკა ბახტაძემ აშშ-ში ვიზიტის შეფასებისას განაცხადა, ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა შედგა ყველა მნიშვნელოვან ინსტიტუტთან, რომელიც მონაწილეობს პოლიტიკური გადაწყვეტილების მომზადებაში, მათ შორის — საექსპერტო საზოგადოებასთან.

როგორც მამუკა ბახტაძემ აღნიშნა, საქართველოს აქვს სრული მხარდაჭერა ყველა იმ ინიციატივაში, რომელიც ქართულმა დელეგაციამ წარადგინა და რომელიც ემსახურება ქართულ-ამერიკული ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას.

„საქართველოს მთავრობის დელეგაციასთან ერთად ეს იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩემი პირველი ვიზიტი პრემიერ-მინისტრის რანგში. გვქონდა მაღალი დონის შეხვედრები თეთრ სახლში და სენატში ჩვენს მეგობრებთან. ყველა შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ქართულ-ამერიკული ურთიერთობები არასდროს ყოფილა ასეთ მაღალ დონეზე ყველა იმ განზომილებაში, რომელსაც ჩვენს მეგობრებთან ერთად ვავითარებთ. სამუშაო ვიზიტის ფარგლებში გვქონდა შეხვედრები საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებთან. განვიხილეთ საქართველოში ეკონომიკური ზრდის პერსპექტივები, ჩვენი რეფორმათა პაკეტი, მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიმართულებით მიღწეული პროგრესი, განსაკუთრებით იმის ფონზე, რომ ჩვენს რეგიონში ეკონომიკური ტურბულენტობა იზრდება; ვისაუბრეთ განათლების რეფორმასა და ადამიანური კაპიტალის განვითარების მნიშვნელობაზე. მსოფლიო ბანკი, ისევე როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ერთხმად აღნიშნავენ საქართველოს პროგრესს და როგორც რეგიონის ლიდერისა და რეგიონული საყრდენის როლს ფინანსური სტანდარტებისა და ბიზნესის კეთების კუთხით“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერ-მინისტრის თქმით, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ საქართველო იქნება ერთ-ერთი პირველი ბენეფიციარი ქვეყანა, რომელიც ადამიანური კაპიტალის განვითარების პროგრამას დანერგავს ქვეყანაში. მთავრობის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რეფორმებს, რომელიც წარდგენილი იყო აშშ-ში ვიზიტისას გამართულ შეხვედრებზე, სრული მხარდაჭერა აქვს ყველა მნიშვნელოვანი საფინანსო ინსტიტუტისგან.

„ვიზიტის ფარგლებში ჩვენ გვქონდა ორმხრივი ნაყოფიერი შეხვედრები მეგობარი ქვეყნების ლიდერებთან, ასევე ევროკომისიის პრეზიდენტ ჟან-კლოდ იუნკერთან და ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელთან საგარეო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ფედერიკა მოგერინისთან. გაეროს სესიის ფარგლებში გამოსვლა მქონდა ნელსონ მანდელას მშვიდობის სამიტზე“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

ბრიუსელში მაღალი დონის შეხვედრები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ნატო-საქართველოს ურთიერთობებში არსებულ ძალიან მაღალი დონის დინამიკას

ბრიუსელში დაგეგმილი მაღალი დონის შეხვედრები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ნატო-საქართველოს ურთიერთობებში ძალიან მაღალი დონის დინამიკა გვაქვს, — ასე გამოეხმაურა საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე ნატო-საქართველოს კომისიის სხდომას, რომელიც ბრიუსელში იმართება.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ბრიუსელში ვიზიტით მყოფი თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია მნიშვნელოვან შეხვედრებს გამართავს ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგთან და აშშ-ის თავდაცვის მდივან ჯეიმს მატისთან.

ქვეყანაში მიმდინარე რეფორმები მსოფლიო რეიტინგზეც აისახა

საქართველო „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების“ რეიტინგში მე-7 ადგილზეა 162 ქვეყანას შორის — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ გუშინ ბრიფინგზე განაცხადა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, ფრეიზერის ინსტიტუტის რეიტინგის მაჩვენებელი არის იმ რეფორმების შედეგი, რომლებიც დღეს ქვეყანაში მიმდინარეობს.

„მოგეხსენებათ, ფრეიზერის ინსტიტუტი ყოველწლიურად აქვეყნებს შემაჯამებელ რეიტინგს „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების“ ინდექსით. წელს ამ რეიტინგში საქართველო მე-7 ადგილზეა 162 ქვეყანას შორის. მე-9 პოზიციიდან საქართველოს გადასვლა მე-7 პოზიციაზე არის იმ რეფორმების შედეგი, რომლებსაც დღეს ვატარებთ ქვეყანაში“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

„ეს არის მნიშვნელოვანი გზავნილი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

ქვეყანაში შფოთვის შემოტანა არანაირ პოლიტიკურ ძალას არ გამოუვა

ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში შფოთვის შემოტანა არანაირ პოლიტიკურ ძალას არ გამოუვა, მათ შორის წინასაარჩევნო პერიოდში, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მთავრობის სხდომის დაწყებამდე, წინასაარჩევნოდ გავრცელებულ ჩანაწერებთან დაკავშირებით განაცხადა. მისი თქმით, მისაღებია ყველაფერი, რომელიც ევროპული ტიპის დემოკრატიად საქართველოს ტრანსფორმაციას ემსახურება.

„ხშირ შემთხვევაში, სამწუხაროდ, ბევრი ჩვენი ოპონენტისგან ეს ლიტონ სიტყვებად რჩება. მე ევროპულ ქვეყანაში მსგავს წინასაარჩევნო პერიოდს არ ვიცნობ, რადგან ეს იმ ევროპულ პოლიტიკურ კულტურას არ შეესაბამება რისკენაც ჩვენ მივისწრფვით. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ნეგატიური ფაქტია. ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში შფოთვის შემოტანა არანაირ პოლიტიკურ ძალას არ გამოუვა, მათ შორის წინასაარჩევნო პერიოდში“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ, რომელმაც აქვე აღნიშნა, რომ ის ისურვებდა, ქართული პოლიტიკა დეპერსონიფიცირებული, დემოკრატიული ინსტიტუტების გაღრმავებაზე მაქსიმალურად ორიენტირებული იყოს.

„სამწუხაროდ, ჩვენი ოპონენტების გარკვეული ნაწილისგან ამ განწყობას ვერ ვხედავთ. თქვენ იცით, რომ დამოუკიდებელმა საპრეზიდენტო კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა, ვისაც ჩვენ მხარი დავუჭირეთ, განაცხადა, როგორი ტიპის კამპანიის ჩატარების განწყობა ჰქონდა. სამწუხაროდ, ოპონენტებმა ამ ყველაფერს ისევ სიძულვილის ენა და პიროვნული შეურაცხყოფები დაუპირისპირეს. რა თქმა უნდა, ეს ევროპული ტიპის დემოკრატიისთვის სრულიად მიუღებელია. ამავე დროს ეს კიდევ ერთი კარგი მაგალითია იმისა, რომ ქართველმა ამომრჩეველმა კარგად დაინახოს ცხოვრებაში ვის რა ფასეულობები ამოძრავებს“, — დასძინა ბახტაძემ.

ბიზნესისა და მედიის საკითხების ერთმანეთთან დაკავშირება არის სრული უპასუხისმგებლობა!

ჩვენ გვაქვს თავისუფალი მედია და ამ საკითხების ერთმანეთთან დაკავშირება არის სრული უპასუხისმგებლობა, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ „ომეგა ჯგუფთან“ დაკავშირებით მთავრობის სხდომის დაწყებამდე განაცხადა. მისი თქმით, ამ საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება, შესაბამისად, იმ ადამიანებს, ვინც ფიგურირებენ ამ ე.წ. ჩანაწერებში, აქვთ უფლება და საშუალება საგამოძიებო ორგანოებს მიაწოდონ სრული ინფორმაცია იმისთვის, რომ ყველა დარწმუნდეს, თუ რასთან გვქონდა საქმე.

„მე კომენტარი გავაკეთე იმ უკიდურესად უპასუხისმგებლო ქცევაზე, რომელიც ეხება იმ საკითხს, რომ ცდილობენ დაუკავშირონ თავისუფალი მედიის ფუნქციონირება საგადასახადო საკითხებს. კიდევ ერთხელ მინდა გავაკეთო ჩემი კომენტარი, რომ ეს არის სრული უპასუხისმგებლობა. არსებობს კომერციული საქმიანობა, არსებობს ბიზნესი. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს თამბაქოს წარმოებასთან, რომელმაც უნდა გადაიხადოს გადასახადი ისევე, როგორც ყველა ეკონომიკურმა აგენტმა. ჩვენ გვაქვს თავისუფალი მედია და ამ საკითხების ერთმანეთთან დაკავშირება არის სრული უპასუხისმგებლობა“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

საქართველო იმ 13 სახელმწიფოთა სიაშია, სადაც დამკვიდრდა ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემა

პრემიერის თქმით, ევროკავშირი დადებითად აფასებს და მხარს უჭერს საქართველოს მთავრობის მიერ ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით წარმატებულ, განხორციელებულ და მიმდინარე რეფორმებს.

„განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ საქართველო ადამიანის უფლებების სფეროში იმ 13 სახელმწიფოთა სიაშია, სადაც ჩამოყალიბდა და დამკვიდრდა ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ევროკავშირი დადებითად აფასებს და მხარს უჭერს საქართველოს მთავრობის მიერ ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით წარმატებულ განხორციელებულ და მიმდინარე რეფორმებს. განსაკუთრებით ხაზი უნდა გავუსვათ პენიტენციურ სისტემაში არსებულ პროგრესს. თქვენ იცით, რომ ამ თვალსაზრისით უმძიმესი მემკვიდრეობა ჩავიბარეთ და აქვე მინდა აღვნიშნო, რომ საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ამ სიაში მოხვდა“, — განაცხადა ბახტაძემ.

თავისუფალი ვაჭრობის დაწყება აშშ-თან უკვე შესაძლებელია

„აშშ-ის მთავრობა და USAID (აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო) მზადაა, დაგვეხმაროს მასობრივი გადამზადების პროგრამების განხორციელებაში,“ — განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი ქობულიამ საქართველოში აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელ ელიზაბეთ რუდთან და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მისიის ხელმძღვანელ პიტერ უიბლერთან შეხვედრის შემდეგ.

შეხვედრაზე განხილული იყო საქართველოსა და აშშ-ის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ვაჭრობისა და ინვესტიციებზე მაღალი დონის დიალოგის ფარგლებში შეხვედრის გამართვის მნიშვნელობაზე აშშ-ის სავაჭრო წარმომადგენლისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის დონეზე. აღინიშნა, რომ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების დაწყების შესაძლებლობა წარმოადგენს პრიორიტეტს ორმხრივი სავაჭრო-ურთიერთობების განვითარების მიმართულებით.

ენერგეტიკის რეფორმაში 74 მლნ ევროთი გვეხმარებიან

საქართველოსა და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) და საქართველოსა და საფრანგეთის განვითარების სააგენტოს (AFD) შორის საკრედიტო შეთანხმებების ხელმოწერის ცერემონიალს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი ქობულია და ევროკავშირის ელჩი საქართველოში კარლ ჰარცელი დაესწრნენ.

სასესხო შეთანხმებებს ხელი მოაწერეს საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა, რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის დირექტორმა ოლაფ ციმელკამ, საფრანგეთის ელჩმა საქართველოში პასკალ მენიემ და საფრანგეთის განვითარების სააგენტოს სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისის ხელმძღვანელმა გაელე ასაიაგმა.

ხელმოწერილი შეთანხმებების თანახმად, საქართველო მიიღებს ჯამურად 74 მლნ ევროს ფინანსურ რესურსს, რომელიც გამოყოფილია საქართველოს მთავრობის მიერ ენერგეტიკის სექტორში დაგეგმილი რეფორმების მხარდაჭერის მიზნით და სრულად იქნება მიმართული სახელმწიფო ბიუჯეტში.

ვხარჯავთ ქვეყნის უსაფრთხოებაზე?

2019 წლის ბიუჯეტის პროექტის თანახმად, თითქმის ყველა სახელმწიფო უწყებას, გარდა თავდაცვის სამინისტროსი, ბიუჯეტი ეზრდება. კერძოდ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის გათვალისწინებულია 134 მლნ ლარი. აქედან 6 მლნ ლარამდე — დაბალი რანგის მოსამსახურეთა ხელფასების 250 ლარით ზრდისთვის. გარდა ამისა, „ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ“ კანონის შესაბამისად, თანხები გათვალისწინებულია გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის სისტემის შექმნის ნაწილობრივი დაფინანსებისთვის.

რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროს, ლევან იზორიას უწყების დაფინანსება 802 მლნ-დან 790 მლნ ლარამდე მცირდება. ბიუჯეტის პროექტში განმარტებულია, რომ გასულ წელთან შედარებით, თავდაცვის სამინისტროს ასიგნებების შემცირება გამოწვეულია საფრანგეთთან გაფორმებული კონტრაქტის დასრულებით, თუმცა პარტნიორებთან კონსულტაციები გრძელდება და გადამუშავებულ ვარიანტში სამინისტროს ასიგნებების კორექტირება განხორციელდება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დაფინანსება 570 220 000-დან 643 500 000 ლარამდე იზრდება. გათვალისწინებულია მიმდინარე წელს განხორციელებული, დაბალი რანგის პოლიციელთა ხელფასების ზრდის (საშუალოდ 250 ლარით) სრული დაფინანსება, ასევე პირველი იანვრიდან სასაზღვრო პოლიციაში დაბალი რანგის პოლიციელთა ხელფასების ზრდა (საშუალოდ 250 ლარით).

საგარეო დაზვერვის სამსახურის ბიუჯეტი საჯარო არაა, თუმცა „აქცენტის“ ინფორმაციით, ისიც იზრდება.

— პასუხობს თუ არა ამგვარად დაგეგმილი ბიუჯეტი საქართველოს წინაშე არსებულ გამოწვევებს? — ამ კითხვით „აქცენტმა“ უშიშროების გადამდგარ პოლკოვნიკს **ბესიკ ალადაშვილს** მიმართა.

ბესიკ ალადაშვილი — საქართველოს სპეცსამსახურების დაფინანსების სისტემა და მისი ბუნდოვანება საზოგადოებას კონტროლის შესაძლებლობას არ აძლევს: დაფინანსება უნდა გამომდინარეობდეს პროგრამებიდან, ჩვენთან კი სპეცსამსახურებს კომუნისტების სისტემით აფინანსებენ — დასაქმებულ პირთა სულადობით. დავუშვათ, 100 ადამიანი მუშაობს დაზვერვის სამსახურში, ამას გადაიყვანენ საშუალო ხელფასზე, დაემატება კომუნალური, საკანცელარიო ხარჯები და ა.შ. ანუ, სპეცსამსახურების ბიუჯეტი დგინდება ისევე, როგორც, მაგალითად, რომელიმე უმაღლესი სასწავლებლის. მსოფლიოში მიღებული პრაქტიკა კი სულ სხვაა: სპეცსამსახურის ბიუჯეტი უნდა გამომდინარეობდეს კონკრეტული ოპერაციიდან — იყოს პროგრამულ-მიზნობრივი.

თავად ოპერაცია კი უნდა მომდინარეობდეს არსებული გამოწვევებიდან. მაგალითად, სადღეისოდ ჩვენი ყველაზე დიდი გამოწვევა საოკუპაციო ხაზთან მიმდინარე პროცესებია. ახლახან ახალგაზრდა ქალი მოგვტაცეს და 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა განუსაზღვრეს. ჩვენ უნდა გვქონდეს რეალური პროგრამა, რომელიც ოფიციალურად არ იქნება გაცხადებული, პირობითად ერქმევა, მაგალითად, „ზეთი“, მისთვის გამოიყოფა, ვთქვათ, 5 მილიონი ლარი და ის მიმართული იქნება საოკუპაციო ზოლის ორივე მხარეს ოპერატიულ-აგენტურული მუშაობისკენ.

აი, ასეთ შემთხვევაში ჩვენ, საზოგადოებას, პარლამენტის ნდობის ჯგუფს შეფასების კრიტერიუმი გვექნებოდა. სადღეისოდ კი ჩვენ საზოგადოებრივ კონტროლს ვერ ვახორციელებთ, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენთვის უცნობია, რა ევალებოდა სამსახურს და რა გააკეთა.

ანალოგიური მდგომარეობაა, ანალიტიკოსის თქმით, კონტრდაზვერვის ხაზითაც:

„სუს-ის მოვალეობაა მტრული აგენტურის გამოვლენა: კრემლის მიერ დაფინანსებული მედიისა და ფონდების მუშაობის შესწავლა და არა მუნიციპალიტეტის მერიის რომელიღაც თანამშრომლის დევნა იმის რკვევით, არაკანონიერად აიღო თუ არა მან 200 ლარი, — ამ საკითხს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური მიხედავს“.

ალადაშვილს ეჭვი აქვს, რომ საგარეო დაზვერვის სამსახურსა და სამინისტროებს შორის ადეკვატური კომუნიკაცია არაა:

„საგარეო დაზვერვისთვის ათეულობით მილიონია გამოყოფილი და ვიცით, რა კონკრეტული სარგებელი მოაქვს მას საზოგადოებისთვის? არადა საგარეო დაზვერვის ფუნქცია მსოფლიოში უმთავრესია. საგარეო დაზვერვის სამსახურმა პოლიტიკურ ხელმძღვანელობას უნდა მოუმზადოს ანალიტიკური ინფორმაცია — პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და ა.შ. პოლიტიკოსებმა ეს ინფორმაციები კონკრეტულ გადაწყვეტილებებში უნდა გამოიყენონ. თუმცა რამდენად ეფექტიანი, ღირებულია მათი მუშაობის შედეგები და იყენებენ თუ არა პოლიტიკოსები, არ ვიცით. მეეჭვება, ჩვენს სამინისტროებსა და საგარეო დაზვერვის სამსახურს შორის იყოს ადეკვატური კომუნიკაცია, თუნდაც დიპლომატიის, საგარეო ეკონომიკური ხაზით. უნდა ითქვას, რომ სადღეისოდ შსს-ს მიერ ბიუჯეტის შესრულების შეფასება უფრო შესაძლებელია, ვიდრე სპეცსამსახურების“.

მსგავს ბუნდოვანებას ანალიტიკოსი რამდენიმე გარემოებას უკავშირებს:

„არაპროფესიონალიზმი, პასუხისმგებლობისგან გაქცევის მცდელობა და არ მინდა, კონსპიროლოგიურ თეორიებში ჩამითვალოთ, მაგრამ ჩვენს მტრებს აწყობთ მსგავსი გაუგებრობა და ფულის არამიზნობრივად ხარჯვა. საერთო ჯამში კი 25 წელია, ვიღებთ ვითარებას, რომ ქვეყანას არ ჰყავს ნორმალური სპეცსამსახური და გაღებული თანხები შეგვიძლია, წყალში გადაყრილად ჩავთვალოთ“.

ირაკლი კობახიძე „ომეგა ჯგუფის“ საქმეზე პარლამენტში შს მინისტრისა და მთავარი პროკურორის დაბარების საფუძველს ვერ ხედავს

„იმ პირობებში, როდესაც არათუ საფუძვლიანი ეჭვი, უსაფუძვლო ეჭვის საფუძველიც კი არ არსებობს ამ ეტაპზე, აქედან გამომდინარე, მე პირადად თუ მკითხავთ, ვერ ვხედავ, ნამდვილად, ამ ეტაპზე პარლამენტში ვერავის დაბარების საჭიროებას“, — ასე გამოეხმაურა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე უმცირესობის წევრთა განცხადებას „ომეგა ჯგუფის“ საქმეზე, პარლამენტში შს მინისტრისა და მთავარი პროკურორის დაბარების შესახებ. ირაკლი კობახიძის შეფასებით, მტკიცებით ფორმაში საუბარი არასწორია.

„ჩემი პოზიცია გაგაცანით, დანარჩენი არის, რა თქმა უნდა, შესაბამისი ორგანოების საქმე. რაც შეეხება კონკრეტულად ამ საქმეს, მტკიცებითი ფორმით არ გირჩევთ საუბარს, და მით უმეტეს, არ გირჩევთ ისეთი ბრალდებების წამოყენებას, რომელსაც თქვენ აყენებთ. ეს ყველაფერი ჩავაბარეთ ჩვენ 2012 წელს. ბიურო არ არის ამის ადგილი. ბიურო არ არის ამის განხილვის ადგილი. რაზეც თქვენ საუბრობთ, ტოტალური კორუფცია, სისტემური კორუფცია, ელიტური კორუფცია, ძალადობა და ასე შემდეგ, ეს არის 2012 წლამდე ხელისუფლების ხელწერა და ეს ჩვენ ჩავაბარეთ წარსულს“, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

მისივე თქმით, გამოძიება დაწყებულია და შესაბამისი პირები დაბარებულები არიან.

„გამოძიება არის დაწყებული, არიან დაბარებული შესაბამისი პირები, რომლებიც არიან ამ საუბრების მონაწილეები და ორივე თავს იკავებს იქ საუბრისგან, რაც ბადებს, ბუნებრივია, ეჭვებს. ამ ეჭვებზე ისაუბრეთ თქვენ და არა იმ ეჭვებზე, რომლებზეც საუბრობთ. ეჭვები იქ არის და არა აქ“, — აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

მეორე საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი

მიმდინარე წლის 27-28 სექტემბერს გაიმართა რიგით მეორე საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს მიეძღვნა. კონგრესი გაიხსნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, სადაც ჩატარდა პირველი პლენარული სხდომა, შემდგომ სექციების მუშაობა გაგრძელდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. კონგრესის მიზანს შეადგენდა ქართველი და უცხოელი ქართველოლოგების კვლევითი საქმიანობის კოორდინაცია, წინა კონგრესის შემდგომ განვლილი პერიოდის მიღწევების წარმოჩენა და სამომავლო ამოცანების დასახვა, რაც წარმატებით განხორციელდა.

კონგრესზე ფართოდ იყო წარმოდგენილი ქართველოლოგიის ყველა ძირითადი მიმართულება (ქართული ენა, ლიტერატურა, საქართველოს ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, ქართული ხელოვნების ისტორია), რაც თავისთავად მეტყველებს მის საეტაპო მნიშვნელობაზე. გარდა ამისა, ფორუმის მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო კავკასიოლოგიურ თემატიკას, რაც სავსებით ბუნებრივია, რადგანაც ამ ორი მიმართულების განვითარება მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს.

აღსანიშნავია კონგრესის წარმომადგენლობითი ხასიათი, სადაც ქართველ კოლეგებთან ერთად მოხსენებით წარსდგნენ **აშშ-ის** (მასაჩუსეტსი), **დიდი ბრიტანეთის** (ლონდონი), **გერმანიის** (ბერლინი), **საფრანგეთის** (პარიზი), **იტალიის** (ვენეცია), **შვედეთის** (მალმო), **რუსეთის** ფედერაციის (მოსკოვი, სანკტ-პეტერბურგი, სოჭი, დონის როსტოვი, გროზნი, მაგასი), **იაპონიის** (ტოკიო), **ისრაელის** (იერუსალიმი), **სლოვაკეთის** (ბანსკა-ბისტრიცა), **აზერბაიჯანის** (ბაქო) წამყვანი სამეცნიერო დაწესებულებების სახელმოხვეჭილი სწავლულები. ეს ფორუმი იმითაც არის საყურადღებო, რომ ის მეტნაკლებად სრულ წარმოდგენას იძლევა სამამულო და საზღვარგარეთული ქართველოლოგიის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ფორუმის საზღვარგარეთელი მონაწილეების მიერ წარმოდგენილი კვლევის შედეგები ფასდაუდებელ სამსახურს უწევს ქართული კულტურის, საქართველოს ისტორიის დაცვას ფალსიფიკატორების მხრიდან ხელყოფისგან, რასაც არცთუ იშვიათად ვაწყდებით ახლო თუ შორეული „კეთილმოსურნეების“ სხვადასხვა მოტივით ანგაჟირებულ პუბლიკაციებში.

კონგრესის მნიშვნელობა კარგადაა წარმოჩენილი ცნობილი რუსი ისტორიკოსის, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ ს. კარპოვის მიმართვაში კონგრესისადმი, სადაც ხაზგასმულია, რომ საქართველო, რომელმაც განუმეორებელი და ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მსოფლიო კულტურის საგანძურში, დღესაც, გლობალიზაციის ურთულეს პირობებშიც, ღირსეულად აგრძელებს და ავითარებს სამამულო ქართველოლოგიური სკოლის სახელოვან ტრადიციებს, ხოლო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია წარმატებით ახორციელებს ქართული და უცხოური ქართველოლოგიური სამეცნიერო საზოგადოების კონსოლიდაციას და იქვე განაგრძობს: „Грузия внесла свой неповторимый вклад в сокровищницу мировой культуры. Находясь на перекрестке мировых цивилизаций, она, впитав многие их лучшие традиции, сохранила свой неповторимый колорит. Сотрудничество российских и Грузинских коллег в картвелологии принесло большие и ощутимые плоды“.

დაბოლოს, კონგრესის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ახალ სიცოცხლეს შთაბერავს და ხელს შეუწყობს ქართველოლოგიის აღმავლობას როგორც ჩვენში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ, რაც ნიშნავს იმას, რომ კონგრესმა დასახულ მიზანს მიაღწია.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია თავის უპირველეს ამოცანად მიიჩნევს, რომ მომავალშიც იზრუნოს ქართველოლოგიურ (ქართული ენა, ლიტერატურა, საქართველოს ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, ქართული ხელოვნების ისტორია) და მასთან ერთად კავკასიოლოგიის მიმართულებებში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაღრმავებაზე.

თანამედროვე ბოროტი ქართველი-მოძულეობა

ჩვენი თანაცხოვრების გმირულ ისტორიას ეს არ ეკადრება!

25 წელიწადია, მოსვენება არ გვეღირსა, არ დაგვაკლდა არც სამოქალაქო და არც საგარეო ომები. ტერიტორიებიც დავკარგეთ და მოსახლეობის მეოთხედიც გარეთ გაგვექცა. ერთ დროს ღონიერი, გონიერი და შეძლებული ქვეყანა დაიბზარა, დაიმშა და გამათხოვრდა. რაც მთავარია, დავკარგეთ ხვალის იმედი, რწმენა, ერთმანეთის ნდობა და სიყვარული. მაგრამ ეს ზღვარი არ არის, შეიძლება უფრო მეტიც დავკარგოთ!

ჩვენ გვიყვარს ჩვენი უბედურების სხვისთვის გადაბრალება, მიზეზთა საკუთარი ეზოს მიღმა ჩხრეკა. რა თქმა უნდა, ამის საფუძველიც გვაქვს, ჩვენი ჭირის თავი და თავი მართლაც გარეთ, მეზობლებთანაც არის საძიებელი.

ჩვენი ყველა დროის (ამ 25 წლის მანძილზე) ხელმძღვანელობის უნიათობამ და მეტწილად არაკომპეტენტურობამ ისე გააფუჭა საქმე, რომ რუსეთი, ფაქტობრივად, ნომერ პირველ მტრად გვექცა, ასე ფიქრობენ რუსეთში საქართველოზე, ასე ფიქრობენ საქართველოში რუსეთზე.

ჩვენი რუსეთის მიმართ „მტრობა“ მაინც არსებული ვითარების გამოძახილია, მიყენებულ ტკივილზე ბუნებრივი რეაქციაა და ყველაფრის მიუხედავად, სულაც არ არის „მასობრივი მოვლენა“, მას არ კვებავს საყოველთაო იდეოლოგია (მომკალით და საქართველოში რუსოფობია არ არსებობს).

ქართველთმოძულეობას (გრუზინოფობიას) კი რუსეთში ხანგრძლივი ისტორია აქვს: ხანგრძლივი, ბოროტი და განტოტვილი.

ამ მოვლენის არსის ფართოდ ახსნა დიდხანს არავის უცდია. ამ თემას საგანგებოდ არც ერთი ჩვენი პოლიტოლოგი, სოციოლოგი და ფილოსოფოსი საგანგებოდ არ შეხებია. იქნებ იმიტომ, რომ ეს უზარმაზარ, ხანგრძლივ შრომას და ძალისხმევას მოითხოვდა, ჩასაღრმავებელ-ჩასაწვდომად კი არც მოთმინება და არც ღონე არავის ეყო.

მადლობა ღმერთს, ბოლოს „ნავსი მაინც გატყდა“, 2005 წელს თბილისის გამომცემლობა „ოფის პრესმა“ რუსულ ენაზე დასტამბა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების **ომარ გოგიაშვილისა** და **ნოდარ ფორაქიშვილის** სქელტანიანი ანალიტიკური წიგნი **„უგუნურება და უგუნურები (არასახალისო გრუზინოფობია)“**. იგი მეორე წელსვე მოსკოვის ცნობილმა საგამომცემლო სახლმა „სლავიანსკი მირ“-მა გამოსცა სრულიად უცვლელად. აი, ჩვენთან კი ამ წიგნმა-მოვლენამ რატომღაც თითქმის უკვალოდ ჩაიარა (ყოველ შემთხვევაში პერიოდულ პრესაში უხვი გამოხმაურება არ მოჰყოლია.

ეს ვრცელი ნაშრომი ათასობით ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით გვიხსნის რუსულ წიაღში თანამედროვე გრუზინოფობიის წარმოშობის ძირებს, შემადგენელ ნაწილებს, წარმოაჩენს, რომ ქართველთმოძულეობა „ინდუსტრიულ რელსებზეა“ შეყენებული, უხვად ფინანსდება, აქვს გავრცელების განუსაზღვრელი სივრცე. ამ სისაძაგლეში „მეტი წონისთვის“ ყბადაღებული ჟირინოვსკის, მიტროფანოვის, ბაბურინის, როგოზინისა და სხვათა მხარდამხარ ჩაბმულია ინტერნაციონალური ბატალიონი – ე.წ. რუსი „პატრიოტები“ არარუსული გვარებით – ნ. აირაპეტოვი, კ. ზატულინი, ს. კურგინიანი, პ. რაში, ა. მიგრანიანი, ა. არუთინიანი, ი. როტარი, ა. კასაევი, პ. პლიევი და სხვ.

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ 1989 და 2008 წლების მოვლენების შემდეგ საქართველოს წინააღმდეგ უწყვეტად, აგრესიულად, უხეშად, ნახევარტონების გარეშე ეწყობოდა „მხილება“, ლანძღვა. ქართული ეროვნული მოძრაობა კვალიფიცირდებოდა ნორმალური ცხოვრების ნორმიდან გადახრად.

საქართველოზე ფართომასშტაბიანი მასირებული შეტევის „ისტორიულ მიჯნად“ 1989 წლის აპრილის მეორე ნახევარი მიიჩნევა, როცა ქართველები მყისიერად ამოგვრიცხეს „ერთობლივი სივრციდან“, გამოგვაცხადეს ნარკომანებად, ფაშისტებად და არანორმალურებად. ამაში ჩაერთო ასობით გაზეთი და ჟურნალი, ლამის უკლებლივ ყველა სატელევიზიო არხი და რადიოსადგური, მანამდე უცნობი რაღაც ინსტიტუტები, კორპორაციები, კონფედერაციები, რელიგიური დაწესებულებები... მათ „ბრუნვაში“ მოექცა საქართველოს ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, ენა, ჩვენი პრეზიდენტები, ეთნიკური განსაკუთრებულობანი, ყოფა-ცხოვრება.

მწერლების ვიქტორ ასტაფიევის („ციმორების ჭერა საქართველოში“), მიხეილ ლობანოვის („სიბრმავე“), ვლადიმერ სოლოუხინის („და მე კვლავ ვეწვიე“)... და სხვათა თხზულებების საფუძველზე ხდებოდა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება ქართველის, როგორც სოციალური ტიპის ცხოვრების უარყოფითი მოვლენის გარშემო. ქართველის უარყოფითმა ტიპმა, იდეოლოგიური ინტერესებით, სიტყვაკაზმულ მწერლობაში მძლავრად გაიდგა ფესვი, კონკრეტულ-ნაციონალური პირისპირდგომის ნიშნები შეიძინა.

„დერჟავნიკების“ „სინანულიანი“ შეფასებით, ქართველობამ, როგორც ყოფითმა რეალობამ, ამოწურა თავისი თავი, გადაშენების გზაზეა და გადარჩენის არავითარი შანსი არა აქვს. ერთნი „უკიდურეს ნაციონალისტებს“ გვიწოდებენ, მეორენი – „ფაშისტებს“, მესამენი – „ოკუპანტებს“, მეოთხენი – „ბალასტს“, მეხუთენი – „ვაჭრუკანებს“, სხვები – „გარეუბნის ხალხს“, „ნახევრად უწიგნურ აზიელებს“, „მოთარეშეებს“, „დამპყრობლებს“...

თურმე სტალინის (ჯუღაშვილის) პირძუშობა და სისასტიკე თვით ბუნების მიერ იყო განსაზღვრული, რადგან მის ძარღვებში... ქართულ-ებრაული(?) სისხლი ჩქეფდა, ბერია თურმე ტომით იუდეველი იყო, შევარდნაძე „თბილისის საუკეთესო გერმანელად“ ცხადდებოდა. თუმცა ეს ყველაფერი არ არის. ერთ-ერთმა ავტორმა „მიაკვლია“, რომ ედუარდ შევარდნაძეს „მამა ოსი ჰყავდა, დედა კი გერმანელი“ (ჟურნალი „კუბანი“).

ამა თუ იმ მოღვაწის „მიბმა“ ებრაეთა მეთაურობით, რათა კაპიტალურად დამაგრდნენ რუსულ ბაზარზე. შთაბეჭდილება მოახდინონ კეთილისმყოფელებზე, დაარწმუნონ ისინი ერთგულ ქვეშევრდომულ გრძნობებში, ტყავიდან ძვრებიან ქართველების ბოროტ ლანძღვაში.

* * *

მადლობა ღმერთს, დღეს გრუზინოფობია ისე აღარ მძვინვარებს რუსულ პრესაში, იგი უკრაინოფობიამ ჩაანაცვლა, როგორც უფრო აქტიურმა. მაგრამ რჩება ავტორთა ერთი „ურყევი“ ჯგუფი, რომლისთვისაც ქართული თემა „მარად უკვდავია“. მაგალითად მკვლევარი ს. კურგინიანი დაუცხრომლად იღვწის, რათა რუსეთი საქართველოს მიუსიოს და ამით სომხეთისთვის სარგებელი მიიღოს. ის და მისი თანამოკალმეები ა. მიგრანიანი, მ. მამიკონიანი და სხვები, **დაუცხრომლად იმეორებენ, ქართველები რუსების უფლებებს ლახავენო („საქართველოს ბრალია ყველა უბედურება, რაც რუსეთს სჭირს“, „საქართველო არის ბოროტების სამეფო“) და ამით აქეზებენ, თავი დაიცვან ისეთი ნაცადი იარაღით, როგორიც ნაჯახია.**

ეს კურგინიანები, მიგრანიანები, გევორქიანები, მამიკონიანები და აირაპეტიანები ამას გარდა, კიდევ ერთ შავ საქმესაც აკეთებენ: უგუნურად და შეუბრალებლად ანგრევენ ქართველებსა და სომხებს შორის საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ ურთიერთობას და ცდილობენ, მძლავრი ანტიქართული ბლოკი შექმნან ამიერკავკასიაში.

გახსოვთ, ალბათ, გაზეთ „მეწამორის“ დივერსია ამ რამდენიმე წლის წინათ.

„მეწამორი“, რომელსაც „აკადემიკოს“ სურენ აივაზიანის გონების ნაჟური აძლევდა ტონს, სულაც არ იყო სასაცილო და სახითხითო, როგორც ზოგს სურდა, ჩვენთვის ვითარება წარმოეჩინა.

კი, რაც წერია, ცუდი ანეკდოტების გადამღერებაა და მართლაც მხოლოდ მხრები შეიძლება აიჩეჩო. სერიოზულად ვერ აღიძვამ ჭავჭავაძის ჭავჭავაძიან-ობას, ბარათაშვილის ბარათიან-ობას, მუხრანბატონის მუხრანიან-ობას,

გაშარჟებული ფიროსმანი

მიხეილ ჯავახიშვილის ადამიან-ობას, ნიკო ფიროსმანის ფიროსმანიან-ობას, პეტრე ბაგრატიონის პეტროს ბაგრატუნობას, ან გიორგი XII-ის თუ ჯუღაშვილი-სტალინის „მამითა და დედით წმინდა სომხობას“, სომეხი რუსთაველი თავადის აშოტის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ სომხურიდან ქართულად თარგმნას, მერე ქართველების მიერ სომხური დედნის დაწვას და პოემის მითვისებას, როსტომ ბაგრატუნის შვილის აკაკის მიერ წერეთლის ფსევდონიმით „სულიკოს“ ავტორობას... იმას, რომ „საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი აბორიგენი ხალხები რუსები და სომხებია, რომელთაც ოდითგანვე ავიწროებდნენ ქართველები, რომ ქართველები – იბერები ჩვენს ერამდე 524 წელს სომეხთა მეფე ტიგრან I-ს თავის მიერ დაპყრობილი ესპანეთიდან ჩამოუსახლებია დიდი სომხეთის პროვინცია ვირძვრასტანში და სხვ.

იხ. 8 გვ.

ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲛ მრავალ შესანიშნავ ადამიანთან ურთიერთობის ბედნიერება მარგუნა, მათ შორის არიან პიროვნებები, რომელთაც განსაკუთრებული კვალი დატოვეს ჩემს ცხოვრებაში და არა მხოლოდ ჩემს, არამედ მთელი ქართველი საზოგადოების ცხოვრებაში.

ამდენად, მათი გახსენება უდიდეს სიამოვნებას მგვრის და, ამავდროულად, მათ შესახებ საუბარი განსაკუთრებით ძნელია.

უკვე 1 წელი სრულდება ბატონი ფრიდონ თოდუას გარდაცვალებიდან და ზოგჯერ დაუჯერებლადაც კი მეჩვენება, რომ ეს ადამიანი ჩვენს გვერდით აღარაა.

თუ ბატონი ფრიდონის ცხოვრებას გადავავლებთ თვალს, მივხვდებით, რომ ეს წლები, გარდაქმნებისა და კატაკლიზმების პერიოდი, ურთულესი იყო როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე ყოველი ჩვენგანისათვის. მიუხედავად ამისა, **ᲤᲠᲘᲓᲝᲜ ᲗᲝᲓᲣᲐᲛ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲨᲔᲫᲚᲝ. ᲗᲐᲕᲓᲐᲣᲖᲝᲒᲐᲕᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ, ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲫᲘᲔᲑᲘᲗ ᲛᲐᲜ ᲬᲐᲠᲣᲨᲚᲔᲚᲘ ᲙᲕᲐᲚᲘ ᲓᲐᲢᲝᲕᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲫᲕᲔᲚᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ. ᲛᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲜᲕᲚᲘᲚᲘ ᲒᲖᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ, ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲖᲛᲘᲡᲐ.**

ფრიდონ თოდუა — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დამფუძნებელი, რომელსაც მის სიცოცხლეშივე ყველა „თოდუას კლინიკად“ მოიხსენიებდა, უამრავი ეროვნული თუ საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი გახლდათ, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ის ყოველთვის იყო ექიმი ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით — უმწეოთა დამხმარე და ქველმოქმედი ადამიანი; დიდი ნიჭისა და ერუდიციის, ნებისყოფის, შინაგანი სისუფთავის, უდიდესი პასუხისმგებლობის, სამართლიანობისა და კეთილმოსურნეობის, საოცარი ნოვატორული და ორგანიზატორული ნიჭის მქონე პიროვნება.

მის ფრთებ ქვეშ გაიზარდა ექიმთა და მეცნიერთა არაერთი თაობა. მეცნიერისთვის, ალბათ, არ არსებობს მეტად საპატიო და ღირსეული ამოცანა, ვიდრე ზრუნვა საკუთარი ერის ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებისთვის. ამ ურთულეს და საპასუხისმგებლო საქმეს იგი ემსახურებოდა საოცარი თავდადებით, შედეგებს კი დღეს მთელი ქვეყანა იმკის.

ბატონი ფრიდონისთვის ხელშეუვალი ჭეშმარიტება იყო, რომ დღევანდელი მედიცინა სრულიად წარმოუდგენელია თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის გარეშე, მაგრამ თვლიდა, რომ უმთავრესი არის კვალიფიციური კადრების მომზადება. ეს იყო პირველი, რასაც მოჰკიდა ხელი საქართველოში დაბრუნებისთანავე და დღეს მისი მოწაფეები არიან დარგის წამყვანი სპეციალისტები არამარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც, საუკეთესონი თავიანთი მოღვაწეობის სფეროში.

მოწაფეებთან ერთად იგი 600-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და 8 მონოგრაფიის ავტორია. მიღებული აქვს 5 საავტორო და 15 საპატენტო მოწმობა. არის 200-ზე მეტი საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის მონაწილე, 80-ზე მეტი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

იგი დაიბადა 1944 წელის 9 იანვარს ქ. ზუგდიდში. გაიზარდა ქალაქში, რომელიც საქართველოს ისტორიის მანძილზე ყოველთვის იყო ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობის, მისი მომავლისა და ტერიტორიული მთლიანობის აქტიური მონაწილე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ წავიდა მოსკოვში, ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტში, სადაც ის 25 წლის განმავლობაში მუხლჩაუხრელად იღვწოდა ქირურგიის უდიდესი კორიფეების გვერდით.

მოსკოვში მან მართლაც ყველაფერს მიაღწია: ვიშნევსკის ინსტიტუტში გახდა იმ განყოფილების ხელმძღვანელი, სადაც მისი აქტიური მონაწილეობით პირველად დაიდგა იმ დროის მედიცინისთვის საოცრებად მონათლული კომპიუტერული ტომოგრაფი, დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, გახდა პროფესორი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი. მოსკოვში მუშაობის თითქმის მთელი დროის განმავლობაში ბატონ ფრიდონს უწყვეტი შეხება ჰქონდა ხელოვნების, მეცნიერების თუ პოლიტიკის სფეროში მოღვაწე დიდ პიროვნებებთან, ადამიანებთან, რომლებიც ქმნიდნენ ისტორიას.

1990 ᲬᲔᲚᲡ ᲙᲘ ᲔᲥᲘᲛᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲘᲪᲜᲝᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲢᲘᲢᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ 300-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲘᲧᲝ, ᲤᲠᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲐᲝᲒᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ — ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘᲧᲝ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲘᲡ ᲫᲕᲔᲚᲐᲜᲐᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲣᲭᲘᲠᲓᲐ. ᲛᲐᲜ ᲓᲐᲢᲝᲕᲐ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲐ, ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲐ, ᲓᲘᲓᲘ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐᲨᲘ ᲨᲔᲢᲔᲗᲐᲜᲐ ᲬᲕᲘᲚᲘᲡ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲪᲮᲝᲓᲜᲐ, ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ ᲩᲐᲛᲝᲛᲧᲝᲚᲘᲚᲘ ᲘᲓᲔᲔᲑᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲫᲕᲔᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲡᲕᲚᲘᲡ ᲑᲔᲠᲙᲔᲢᲐᲓ ᲔᲥᲪᲘᲐ.

ასე აღმოჩნდა გამოჩენილი მეცნიერი ახალი შენობის საძირკვლის პირისპირ რამდენიმე თანამოაზრესა და „Simens“-ის ფირმის ახალთახალ კომპიუტერულ ტომოგრაფთან ერთად. წანააღმდეგობებთან ბრძოლაში, ნაბიჯ-ნაბიჯ, აგურ-აგურ, მოთმინებითა და დიდი ძალისხმევით ერთ წელიწადში წარმატებით დაგვირგვინდა ახალი დიაგნოსტიკური ცენტრის მშენებლობა, რომელიც თავისი კადრებითა და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალით მაშინვე დიდ ყურადღებას იმსახურებდა და მოკლე პერიოდში ყველა საერთაშორისო სტანდარტს აკმაყოფილებდა. მას შემდეგ ამ ცენტრში წუთითაც არ შეწყვეტილა განვითარებისა და სრულყოფისაკენ მიმართული საქმიანობა.

შეუძლებელია არ აღინიშნოს ექიმის, ადმინისტრატორის და მეცნიერის საქმიანობასთან ერთად ბატონი ფრიდონის აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობა. 2008-2012 წლებში იგი გახლდათ ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატი და მრავალი სასიკეთო საქმე ამ რეგიონში სწორედ მისი თაოსნობით გაკეთდა. მისი მოღვაწეობის ბოლო წლებს რომ გადავავლოთ თვალი, შეიძლება მხოლოდ გავოცდეთ, რამდენ საქმეს ედგა სათავეში ეს დაუღალავი ადამიანი. ფასდაუდებელია მისი მოღვაწეობა, როგორც საქართველოს ეროვნული აკადემიის პირველი ვიცე - პრეზიდენტისა, თანამოაზრე აკადემიკოსებთან ერთად მან უდიდესი როლი შეასრულა აკადემიური მეცნიერების განვითარებაში საქართველოში და არა მხოლოდ საქართველოში, რაც მსოფლიოს სხვადასხვა აკადემიის ჯილდოებით აღინიშნა: მას მიღებული აქვს აკად. ა. ა. ვიშნევსკის, აკად. ა. ვ. ვიშნევსკის სახელობის პრემიები, არის სსრკ კავშირისა და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, მინიჭებული აქვს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის სახელობითი პრემია და ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის დიდი ოქროს მედალი, აკად. გ. მუხაძის მედალი, ივ. ჯავახიშვილის ოქროს მედალი, აკად. ფერდინანდ თავაძის საპატიო მედალი. არჩეულია ევროპის მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის აკადემიკოსად, გრაცის (ავსტრია) უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად, რუსეთის სამედიცინო-ტექნიკური მეცნიერებების აკადემიის ნამდვილ წევრად, მიღებული აქვს ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ფრიდონ თოდუას მსოფლიო სამედიცინო საზოგადოება, უპირველეს ყოვლისა, აღიარებს, როგორც მეცნიერს, რომელმაც მრავალი ინოვაცია დანერგა და სამედიცინო პრაქტიკაში პირველმა გამოიყენა სხვადასხვა დაავადების მკურნალობის პროგრესული მეთოდები

ᲝᲚᲔᲡᲚᲐᲪ ᲜᲣᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ ᲰᲥᲕᲘᲐ, ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲐᲛᲐᲧᲝᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ.

უნდა ითქვას, რომ საქართველომ დაუფასა ღვაწლი ექიმს და მეცნიერს. მისი თავდადებული შრომა არაერთი დიდი ეროვნული ჯილდოთი აღინიშნა, რომელთა ჩამოთვლას, ალბათ, ცალკე დროს თუ მივუძღვნით. მათ შორს არის ორგზის ღირსების ორდენი, ვახტანგ გორგასლისა და პრეზიდენტის ბრწყინვალების ორდენები. ბატონი ფრიდონ თოდუა თბილისის საპატიო მოქალაქეა და ამ ტიტულს განსაკუთრებული სიამაყით მოიხსენიებდა.

ყოველთვის საამაყოა, თუ საქართველოს მოქალაქე საერთაშორისო ასპარეზზეც აღიარებულია. 1999 წელს ფრიდონ თოდუა ჰენრი კისინჯერთან ერთად, ერთიანი ევროპის მშენებლობაში შეტანილი წვლილისთვის ევროპის ღირსების ორდენით დაჯილდოვდა; ამერიკის შეერთებული შტატების ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტის მიერ ფრიდონ თოდუა საზოგადოების წინაშე კეთილშობილური მიღწევებისთვის აღიარებულია 2003, 2008 და 2011 წლებში „წლის საუკეთესო ადამიანად“; „ჰუმანიზმისა და ხალხის სამსახურისთვის“ საფრანგეთის მთავრობის მიერ დაჯილდოებულია „მადლიერების ჯვრით“, „დიდი ქველმოქმედებისა და საქმის ერთგულებისთვის“ მიღებული აქვს „ანდრია პირველწოდებულის ორდენი“

სიცოცხლე მოვალეობაა — უთქვამთ, და მართლაც მხოლოდ მას შეუძლია იქცეს პიროვნებად, ვისაც მთელი არსებით აქვს გაცნობიერებული ეს ანბანური ჭეშმარიტება, ვისაც შეუძლია არამარტო მიიღოს რამე საზოგადოებისაგან, არამედ უპირველესად გაიღოს, რაც გააჩნია. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა.

ᲓᲐᲛᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲗ, ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲝᲚᲘ ᲡᲐᲡᲝᲬᲐᲠᲙᲕᲔᲗᲘᲚ ᲓᲐ ᲒᲐᲭᲘᲠᲕᲔᲑᲣᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲨᲔᲛᲬᲔ ᲘᲧᲝ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲐᲓ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲘᲡᲔᲓᲐᲪ ᲠᲗᲣᲚ ᲧᲝᲤᲐᲨᲘ, ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲤᲠᲘᲓᲝᲜᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲐ. ᲕᲘᲜ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲐ ᲠᲬᲛᲔᲜᲐ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜ ᲣᲰᲝᲕᲐᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲫᲝᲜᲔᲚᲡ ᲒᲐᲮᲚᲝᲛᲘᲐ ᲨᲔᲛᲬᲔᲓ. ᲡᲮᲕᲐᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲐᲠᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ, ᲠᲐᲓᲓᲒᲐᲜ, ᲗᲣ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐᲡ ᲘᲠᲩᲔᲕᲡ, ᲔᲡ ᲘᲛᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲒᲘ ᲛᲝᲛᲧᲕᲐᲡᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲐᲖᲘᲐᲠᲔᲡ.

ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲙᲘ ᲤᲠᲘᲓᲝᲜ ᲗᲝᲓᲣᲐ ᲘᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲐᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲪ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲜᲘᲭᲭᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲜᲘᲭᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲛᲮᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲒᲕᲐᲙᲚᲘᲐ ᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ, ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲫᲐᲚᲐᲫᲔ, ᲫᲕᲔᲚᲘᲡ ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲐᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲕᲔᲡᲘᲢᲐᲫᲔ,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი

ᲤᲠᲐᲜᲙᲤᲣᲠᲢᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲑᲐᲖᲠᲝᲑᲐᲖᲔ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲢᲣᲛᲠᲝᲑᲐ ᲒᲕᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲕᲐᲦᲠᲛᲐᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡᲗᲐᲜ

— ᲐᲛᲘᲡ შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მთავრობის სხდომის დაწყებამდე გამართულ ბრიფინგზე გუშინ განაცხადა.

„ფრანკფურტის წიგნის ბაზრობას თითქმის 500-წლიანი ისტორია აქვს და მსოფლიოში ყველაზე მასშტაბური ფორმატია. ჩვენ მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ მსგავსი შესაძლებლობები, რათა საქართველოს მიმართ კიდევ უფრო გავზარდოთ ინტერესი და მსოფლიომ უფრო მეტი გაიგოს ქართული ლიტერატურის, თეატრის, მუსიკის, მხატვრობის, ჩვენი ფოლკლორის, საქართველოს ისტორიისა და უნიკალური კულტურის შესახებ“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერ-მინისტრმა დიდი მადლობა გადაუხადა სამზადისში ჩართულ ყველა ადამიანს, მათ შორის გერმანელ მეგობრებს დახმარებისთვის, რათა საქართველო ამ ფორმატში ძალიან მაღალ დონეზე იყოს წარმოდგენილი.

ასე ამბობდა სალვადორ დალი

ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა

სალვადორ დალი ბავშვობაში

ვინ იყო სალვადორ დალი?

ექვსი წლისას მზარეულობა მინდოდა, შვიდისას — ნაპოლეონობა. და მოგვიანებითაც მეზრდებოდა ათასგვარი მოთხოვნილება იმაზე არანაკლებად, ვიდრე სიდიადისკენ ლტოლვაა.

სალვადორ დალი

სალვადორ დალი მარტო სახელი როდია XX საუკუნის ფრიად გამორჩეული და გამოჩენილი მხატვრისა, რომელმაც მთელი მსოფლიო გააოცა თავისი ექსტრავაგანტურობით, ხელოვნებასა და მთლიანად ცხოვრებაზე განსაკუთრებულად თავისებური შეხედულებით. სალვადორ დალი მთელი ეპოქის ბრენდია, აკი ერთხელ თავადვე განაცხადა: **„სიურრეალიზმი მე თვითონ ვარო“.**

თავისი დროის ერთ-ერთმა გენიალურმა ხელოვანმა მსოფლიოს შესძღვნა არა მარტო დიდებული სურათები, ქანდაკებები და ფილმები, არამედ რამდენიმე საოცარი წიგნიც, რომელთაც ექსცენტრული მხატვრის შინაგანი სამყაროს შინაარსი უჩვეულო მანერით გამოხატეს.

დალი ჰგონებდა, რომ ცხადად ახსოვდა ჯერ კიდევ დედის მუცელში ყოფნის დროინდელი სულდგმულობა, საზოგადოებას აოგნებდა თავისი ბიოგრაფიის ინტიმური წვრილმანებით, თავგზას უბნევდა გარშემომყოფთ სკანდალური გამოხდომებით, რაგინდარა ამბის გამოისად გამოთქვამდა უცილობლად არაერთ უცნაურ მოსაზრებას — ყოველივე ამას და კიდევ ბევრ სხვა რამეს წაიკითხავთ ამ პუბლიკაციის ფურცლებზე.

* * *

სალვადორ დალი XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და დიდსახელიანი მხატვარი იყო. იგი წარმოადგენდა, უფრო სწორად, განასახიერებდა ერთად თავმოყრილ არაერთ წინააღმდეგობას — ცხოვრება თუ მოსაწყენი ხდებოდა, ყოველთვის რასმე იგონებდა. სიურრეალიზმის მეფე, თავის იმპულსურ გამოვლინებებში წინასწარ განუჭვრეტელი, თითქმის სიგიჟეს ესაზღვრებოდა. დალი თავის შემოქმედებაზე ბევრად ანომალური იყო.

„ყოველივე ჩემი სახის შეცვლას ცდილობდა, მაგრამ ვერაფერმა შემცვალა“ — ამგვარად აფასებდა დალი თავის სახელოვნებო გზას. ხელოვნებას ის მეცნიერებისგან არ გამოყოფდა. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ თავისი ადრეული ნამუშევრები დალიმ ზიგმუნდ ფროიდის თეორიის ზეგავლენით შექმნა. მეცნიერებით დაგულისყურებული მხატვარი ოცდაათიან წლებში ოპტიკურ ილუზიათა და გამოსახულების გაორმაგების ზემოქმედებას განიცდის. 1940 წელს იგი შთაგონებას ნახულობს კვანტურ თეორიასა და ბირთვულ ფიზიკაში. 1960 წელს იგი ჰოლოგრამებმა და სამგანზომილებიანმა მოდელებმა დააგულისყურეს. იმ დროს ერთ-ერთ ინტერვიუში დალი ამბობს: ***„...მეცნიერებასთან მწყრალად მყოფი მხატვრები ჩემთვის თითქმის არ არსებობენ. ჩემი გაგებით, მხატვრებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ წარმოდგენა მეცნიერების მიღწევებზე, რათა შეძლონ ახალი სივრცის — ელემენტარულ ნაწილაკთა სამყაროს დაპყრობა.“***

სალვადორ დალის ცხოვრება არანაკლებ სიურრეალისტური იყო, ვიდრე იმის ნამუშევართა სიუჟეტები. სწორუპოვარმა გენიოსმა და იმისმა მუზამ — გალამ მთელი მსოფლიო აალაპარაკეს. ამ ორი ადამიანის კავშირი სამუდამოდ შევიდა ხელოვნების ისტორიაში, როგორც დალის გენიალური ნიჭიერებისა და გალას მკაცრი საქმიანი ფხიანობის ნაზავი.

სალვადორ დალი (ცენტრში) მშობლებთან, ძიძასთან, დეიდასთან, ბებიასთან და დასთან ერთად.

დალი ბევრს ფიქრობდა სიკვდილსა და უკვდავებაზე და ბოლოს და ბოლოს შეძლო მარადიული სიცოცხლის ფორმულის მიგნება — თავისი შემოქმედების უხვმა ნაყოფმა მთელი ეპოქის საკულტო პიროვნებად აქცია, რომლის იდუმალებაც დღემდე აფორიაქებს მსოფლიოს საზოგადოებრიობას.

* * *

1904 წლის 11 მაისს ესპანურ ქალაქ ფიგარესში მზისქვეშეთს მოევლინა თავისი დროის ერთ-ერთი უდიდესი ხელოვანი სალვადორ დომენეკ ფელიპ ჟასინგ დალი და დომენეკ, მარკიზ დალი დე პუბოლი.

სალვადორ დალი: ***„შეხედეთ! დაიბადა სალვადორ დალი. ქარი ჩადგა, და ცა მოკრიალდა. ხმელთაშუა ზღვა დამშვიდებულია, და იმის გლუვ ზედაპირზე, როგორც თევზის ქერცლზე ცისარტყელასავით ბრწყინავს შვიდი მზის სხივი... მერე რა ვუყოთ, რომ მხოლოდ შვიდია? სალვადორ დალის მეტი არც უნდა!“***

დალი საზრიანი და გონიერი ბავშვი იყო, ჯერ კიდევ სულ პატარას გამოაჩნდა უჩვეულო და ყოყოჩური ხასიათი.

სალვადორ დალი: ***„სახლში მე ვმეფობდი და ვბრძანებლობდი. ჩემთვის არცრა შეუძლებელი არ იყო. მამაჩემი და დედაჩემი ჩემზე ლოცულობდნენ“.***

პატარა სალვადორი უზრუნველყოფილ ოჯახში იზრდებოდა, მამამისი შეძლებული ნოტარიუსი იყო, დედა, ღვთისმოსავი კათოლიკე, სულში იძვრენდა შვილს.

სალვადორ დალი: ***„ფიგარესის ეკლესიაში მარტო ქალები დადიოდნენ, რაც შეეხება მამაჩემს, თავი თავისუფალ მოაზროვნედ მიაჩნდა და ეკლესიის გზაც არ იცოდა. რათა უკეთესად დამკვიდრებულიყო თავის თავისუფალ აზროვნებაში, თვით სრულიად უმნიშვნელო გამონათქვამებსაც კი საზარელი, თუმცა მკაფიოდ გამოხატული ღვთის გმობით ამკობდა“.***

მოევლინა თუ არა ამ ქვეყანას, სალვადორს იმ დღიდანვე აფუფუნებდნენ, უფროსი ძმა ჯერ კიდევ პატარა გარდაეცვალა და მშობლებს ეჯერათ, რომ მეორე შვილი დაღუპული პირმშოს თავისებური რეინკარნაცია იყო.

სალვადორ დალი: ***„ჩემი ძმა მენინგიტისგან გარდაიცვალა ჯერ კიდევ შვიდი წლისა, ჩემს დაბადებამდე სამი წლით ადრე. სასოწარკვეთილმა მამამ და დედამ ამქვეყნად ჩემი მოვლინების გარდა ვერცრა სხვა ნუგეში ვერ იპოვეს. მე და ჩემი ძმა როგორც ორი წვეთი წყლისა, ისე ვგავდით ერთმანეთს: იმასაც იგივე გენიალურობა ეწერა შუბლზე, იგივე უმიზეზო განგაშის დაღი ეტყობოდა. ერთი სიტყვით, აშკარად სიცოცხლისუნარიანი ვიყავი. ჩემი ძმა, როგორც ჩანს, თვითონ ჩემი პირველი სინჯი იყო...“***

მესამე შვილი ოჯახში გოგონა გახლდათ — ანა-მარია დალი, რომელიც 1908 წელს დაიბადა. ის სალვადორის ბავშვობის ერთგული მეგობარი იყო, ხოლო როცა გაიზარდნენ, თავისი ძმის მენატურეც გახდა.

პატარა დალი ადრევე მიხვდა, რომ ხუშტურიანობა და მეცხეზობა, ანუ განგაგე რისამე მოგონება (სიმულაცია) ყველაზე სწორი ხერხი იყო თავისი ჟინიანობისა თუ ახირებულობის თავის მოსაბმელად. სუსტი და მორცხვი ბავშვი მარჯვედ იფარავდა სახეს ონავრის ნიღბით. მუდამ საყოველთაო ყურადღების მიქცევას ცდილობდა. ბევრი თვალსაზრისით თავისი უჩვეულო საქციელის გამო დალი თანატოლთა სამიზნე გახდა, ისინი არც ერთ იმის შესაძლებლობას არ უშვებდნენ ხელიდან, რომ მასხრად აეგდოთ უცნაური ბიჭი.

სალვადორ დალი: ***„კოლეჯში აგრესიული ვიყავი და ვერ ვიტანდი, ნებსით, გინდ უნებლიეთ, თუ განმარტოებას მირღვევდნენ. იმ ბავშვებს, ვინც სულ უფრო იშვიათად, მაგრამ მაინც ცდილობდა ჩემთან დაახლოებას, ისე უცხვირპიროდ ვხვდებოდი, რომ ისინი აღარ მეკარებოდნენ.“***

დალიმ ხატვა დაიწყო სამი წლისამ, ხოლო ათი წლისა უკვე ჩამოყალიბებული მხატვარი იყო, რომლის იშვიათი ნიჭიერება სათვალმჩენო გახდა. დედამ სალვადორი სახვითი ხელოვნების შესასწავლად მუნიციპალურ სამხატვრო სკოლაში შეიყვანა.

სალვადორ დალი: ***„მთხოვეს რამდენიმე ნამუშევრის მომზადება ადგილობრივი გამოფენისთვის, რომელშიც ოცდაათამდე მხატვარი მონაწილეობდა. ისინი ჟერონიდან და ბარსელონიდან ჩამოვიდნენ, ჩემი ნაწარმოებები შეამჩნიეს. ორმა სახელიანმა კრიტიკოსმა, კარლოს კოსტამ და პუიგ პოჟადესმა, განაცხადა, ახალი ნიჭიერება აღმოვაჩინეთო, და ბრწყინვალე მომავალი მისიზმრეს.“***

დალი იმთავითვე, ადრეული წლებიდან გრძნობდა ბრბოდან გამოყოფის მოთხოვნილებას, საშუალობა, უფერულობა იმისთვის აუტანელი იყო.

სალვადორ დალი: ***„ჩემი ყრმობა ის დრო იყო, როცა შეგნებულად ვაღრმავებდი სუყოველ მითს, უცნაურობას, ნიჭიერებისა და გენიალურობის თვისებებს, პატარაობაში მხოლოდ მცირედად შესამჩნევს, არ მინდოდა არცრის გამოსწორება და არცრის გამოცვლა. მეტიც, იმ სურვილით ვიყავი შეპყრობილი, რომ ჩემი თავისთვის მეიძულებინა თავისი სიყვარული. ჩემი პიროვნება, თვითდამკვიდრების გზაზე შემდგარი, უკვე აღარ კმაყოფილდებოდა მარტივი თავმოყვარეობით, ანტისოციალურ და ანარქიულ მიდრეკილებებს ავლენდა. ბავშვი-მეფე ანარქისტი გავხდი. პრინციპულად ყველაფრის წინააღმდეგი ვიყავი. ჯერეთ კიდევ პატარაობიდან არცრის ქმნას არ ვერიდებოდი, რათა „სხვათაგან განვსხვავებულიყავი“. სიყმაწვილეში იმავეს ჩავდიოდი, ოღონდ ყასიდად. როცა „არა“ უნდა მეთქვა, მაშინ: „დიახ“-ს ვამბობდი, რა არის, მეტი მოკრძალებით შემოეხედათ, მე კი ზემოდან დავცქეროდი. იმის აუცილებლობა, რომ ხანისად ისეთად მეგრძნო თავი, ხანისად ასეთად, სიშმაგისგან ტირილს მაიძულებდა. გულში განუწყვეტლივ ვიმეორებდი: „დამოუკიდებლად!“ „დამოუკიდებლად!“ იმ დროშის ჩრდილქვეშ, რომელ დროშაზეც მიბეჭდილი იყო ეს სიტყვები, ჩემი შინაგანი სამყაროს ციხესიმაგრეს გალავანსავით რომ იცავდნენ, ვფიქრობდი, ჭირშეუვალი თავხელმარტო კაცი ვიქნები თვით სიბერემდე-მეთქი“.***

დალიმ ყოველთვის იცოდა, რომ მხატვრობა უნდოდა. თუმცა მამა არ ჩქარობდა შვილის ხელოვნებათა სკოლაში გაგზავნას, რადგან, ჯერ ბაკალავრის ხარისხი მიიღოსო, ამბობდა.

სალვადორ დალი: ***„მამაჩემი მოლბა. კარგად ვიცოდი, რა ხასიათისაც იყო, და ბაკალავრის ხარისხისთვის გამოცდის შემდეგ მხატვრად გახდომისთვის მზადება დავიწყე. მაგრამ კიდევ სამი წელიწადი უნდა მეცადა, ლაპარაკი იყო ნატიფ ხელოვნებათა მადრიდის სკოლაზე, ანდა იქნებ სულაც რომის სკოლაში წავსულიყავი. არამეთქი, მტკიცედ ვთქვი, ავჯანყდი ჩვეულებრივი გზის ადევნების იდეის წინააღმდეგ. თავისუფლად ყოფნა მინდოდა, რათა არცვის არ ჰქონოდა ჩემს შინაგან სამყაროში ჩარევის უფლება. უკვე უზურში მქონდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჩემს პროფესორებთან. იმ საქმეს, რომელსაც ვგეგმავდი, ვინმე მოწმე არ უნდა ჰყოლოდა“.***

1921 წელს დალი შევიდა მადრიდში სან-ფერნანდოს ნატიფ ხელოვნებათა აკადემიაში და თავისი ოსტატობით თმა ყალყზე დაუყენა მიმღებ კომისიას.

სალვადორ დალი: ***„ნატიფ ხელოვნებათა აკადემიაში შემდეგი შენიშვნით მიმიღეს: თუმცა, ნახატი არა მითითებული ზომით არის შესრულებული, მაგრამ იმდენად სრულყოფილია, რომ ჟიური იწონებს და იღებს.“*** მამა ჩემს დასთან ერთად წავიდა, და მე მარტო დავრჩი სტუდენტური საერთო საცხოვრებლის კომფორტაბელურ ოთახში. იქ, იმ საერთო საცხოვრებელში, დასაბინავებლად საჭირო იყო საუკეთესო რეკომენდაციები. იქ მხოლოდ მაღალი წრის ესპანური ოჯახების წარმო-

მადგენელნი ცხოვრობდნენ. მალე ნატიფ ხელოვნებათა აკადემიის მეცადინეობებზე დავიწყე სიარული. და მთელი ჩემი დრო ამას მიჰქონდა“.

იმავე წელს თექვსმეტი წლის დალის უბედურება დაატყდა თავს – მკერდის კიბოთი დედა გარდაეცვალა, რა ამბავმაც საშინლად დაამწუხრა ჭაბუკი მხატვარი.

სალვადორ დალი: *„იმავე წელს დედის სიკვდილი ჩემთვის ნამდვილი მეხის დაცემა იყო. ის ჩემს გულში გაღმერთებული მყავდა, ჩემთვის ერთადერთ და განუმეორებელ არსებად ცოცხლობდა. ვიცოდი, რომ იმის ოქროცურვილი, წმინდა სული ყველაზე და ყველაფერზე მაღლა იდგა, და არ შემეძლო იმ არსების დაკარგვასთან შეგუება, ვის ზეც არაცნობიერად ვამყარებდი იმედს ჩემი სულის არაერთი უხილავი ნაკლისა გამო. იგი ისეთი კეთილი იყო, ვფიქრობდი: „ეს სიკეთე მეც მეყოფა-მეთქი“. მე ყოვლისშთანმთქმელი და ამაღლებული სიყვარულით ვუყვარდი. ჩემი კადნიერი საქციელიც კი ერთგვარად სიამოვნებდა, თავისებურად ესასწაულებოდა! იმისი სიკვდილი ბედის დაცინვად მომეჩვენა. შურისძიების გრძნობა მივსებდა გულს. კბილებდახრჭენილმა დავიფიცე, რომ დედაჩემს სიკვდილსა და ბედს გამოვტაცებდი, თუნდაც ამისთვის მზის სხივთა კონის შეკვრა დამჭირვებოდა, რომელი სხივთკონაც, ანუ შარავანდედი, ერთ მშვენიერ დღეს თვალისმომჭრელად გააჩახჩახებდა დიდებით მოსილ ჩემს სახელს!“*

20-იანი წლების პირველ ნახევარში სალვადორ დალი კუბიზმსა და დადაიზმს ეზიარა. იმხანად მან ბევრი გასახელებული ადამიანი გაიცნო – ლუის ბინოკლი, ფედერიკო გარსია ლორკა, პედრო გარფიასი.

სალვადორ დალი: *„ჩემს ოთახში დავწერე ჩემი პირველი კუბისტური ტილოები, განზრახ შევარჩიე მისაბაძად ხუან გრისი. გამოვიყენე მხოლოდ შავი, თეთრი, წენგოს ფერები და „La mepp de Cuenn, ჩემი წინანდელი ჭარბი ფერების საპირისპიროდ“.*

ნატიფ ხელოვნებათა აკადემიაში შესვლის თავდაპირველი სიხარული მალე შეცვალა დარდმა და მოწყენილობამ. პროფესორნი დალის ჩერჩეტნი, გამობეყეირათებულნი და არაკომპეტენტურნი ეჩვენებოდნენ.

სალვადორ დალი: *„თავდაპირველი ენთუზიაზმის მიუხედავად, ნატიფ ხელოვნებათა აკადემიაზე მალე გამიტყდა გული. წლებითა და მორთვა-მოკაზმის ჩვეულებებით ტვინდამძიმებულ პროფესორთ არცრის სწავლება არ შეეძლოთ ჩემთვის“.*

1926 წელს დალი სან-ფერნანდოს აკადემიიდან გამორიცხეს გამოცდების ჩაბარებაზე დაუარებისა გამო. ახალგაზრდა მხატვრის გამოხდომები და საქციელის მანერა იმდენად უპატივცემულობის გამომხატველი და კადნიერი იყო, ვერც თვით უეჭველმა ოსტატობამ და ნიჭიერებამ ვერ იხსნეს დალი აკადემიის დატოვებისგან.

სალვადორ დალი: *„მომავალ წელს ხელოვნების ისტორიაში უნდა ჩამებარებინა გამოცდა. და შესაძლებლობა მეძლეოდა, რომ ერთხელ კიდევ გამომეჩინა თავი. თუმცა, მაინცდამაინც გულმოდგინედ არ ვემზადებოდი გამოცდებისთვის. ტრიბუნაზე რომ ავედი, სადაც ჟიური განლაგებულიყო, პირველად რომელი ბილეთიც მომხვდა თვალში, ის ავიღე – და დაუჯერებლად გამიმართლა, ეს ის საკითხი იყო, რომელზეც პასუხის გაცემა მე თვითონ მინდოდა. მაგრამ დარბაზში ხალხს რომ გადავხედე, უცებ ყველაფრის მიმართ გავგულგრილდი, ხალისი დავკარგე და გავშეშდი. და მოულოდნელად განვაცხადე, საკითხი ერთად აღებულ სამ პროფესორზე ნაკლებად არ ვიცი და უარს ვამბობ პასუხზე, რადგან ეგენი ჩემსავით საქმეში ჩახედულნი არ არიან-მეთქი“.*

დალის მაინცდამაინც ძალიან არ სწყენია აკადემიდან გამორიცხვა. ჯერ თავის მშობლიურ ფიგარესში დაბრუნდა, მერე პარიზს მიაშურა, სადაც პირველად შეხვდა პაბლო პიკასოს.

სალვადორ დალი: *„პარიზში პირველად ჩავედი ერთი კვირით დეიდასთან და დასთან ერთად. შედგა სამი მნიშვნელოვანი ვიზიტი: ვერსალში, გრეკოს მუზეუმსა და პიკასოსთან. პიკასოსთან წარმადგინა გრანადელმა მხატვარმა-კუბისტმა მანუელ ანხელო ორტისმა, რომელიც ლორკამ გამაცნო. პიკასოსთან ლა ბოეტის ქუჩაზე ისეთი აღელვებული და მოკრძალებულად მივედი, თითქოსდა პაპთან ვიყავი მიღებაზე“.*

1929 წელი ნიშანდებული გახდა ახალგაზრდა მხატვრისთვის. სწორედ ამ დროს გაიცნო სალვადორ დალიმ თავისი მომავალი ცოლი, მთელი ცხოვრების მუზა და სიყვარული გალა ელუარი (ელენე დიმიტრის ასული დიაკონოვა). სალვადორი 25 წლისა იყო, გალა – 36, თანაც გალას უკვე ქმარი ჰყავდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი, სალვადორი და გალა, ერთმანეთისთვის იყვნენ გაჩენილნი, და იმათ კავშირს ნახევარსაუკუნოვანი სიცოცხლე ეწერა.

სალვადორ დალი: *„ის იქნება ჩემი ღვთაება, გრადივა, ჩემი გამარჯვება, ჩემი ცოლი, მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომ მომარჩინოს და მან მართლაც მომარჩინა, განმკურნა თავისი საარაკო, უძირო სიყვარულის წყალობით, რომლის სიღრმეც გამოვლინდა ჩვენს ცხოვრებაში და ფსიქოანალიზის ყოვლის უფრო ამბიციურ მეთოდებს გადააჭარბა“.*

20-იანი წლების ბოლოს დალი ოფიციალურად შეუერთდა პარიზელ სიურრეალისტთა მოძრაობას, რომელსაც ანდრე ბრეტონი თავკაცობდა. მოგვიანებით კი დალის პერსონალური გამოფენა მოეწყო პარიზში, და ეს გამოფენა გახდა დიდების მწვერვალისკენ გადადგმული დევკაცური ნაბიჯი.

სალვადორ დალი: *„სიურრეალისტები, რომელთაც ჯგუფი შექმნეს, იმის ერთადერთ საშუალებად მეჩვენებოდნენ, ჩემს მიზნებს რომ ემსახურებოდა. იმათი ლიდერი ანდრე ბრეტონი, ჩემი შეხედულებით, შეუცვლელი იყო მთავარ როლში. კინაღამ მეც მოვსინჯე ჯგუფის მართვა, მაგრამ ჩემი ზეგავლენა იქნებოდა ფარულად ოპორტუნისტული და პარადოქსული. შესაფერისი დროის ცდაში ვსწავლობდი ჩემს ძლიერ და სუსტ წერტილებს, აგრეთვე ჩემი მეგობრების ღირსებასა და ნაკლოვანებებს, რამეთუ ისინი ჩემი მეგობრები იყვნენ. ავიკვიატე ერთი აქსიომა: „თუ საკუთარი გამარჯვების გულისთვის გადაწყვეტ ბრძოლას, შეუბრალებლად ნადგურყავი ისინი, ვინც წაგაგავს. ყოველგვარი კავშირი გაუსახურებს, ყოველივე კოლექტიური შენს დაღუპვას ნიშნავს. გამოიყენე კოლექტივი შენს სასარგებლოდ და შემდგომ დაარტყი, ძლიერად, ძალუმად დაარტყი და ერთი დარჩი!“*

ერთი დავრჩი, მაგრამ მუდმივად გალასთან ერთად! სიყვარულმა შემწყნარებელი და დიდსულოვანი გამხადა. სულ დაპყრობის ხასიათზე ვიყავი, ამ მიზნით ხან ერთი გეგმა მიჩნდებოდა, ხან მეორე, მაგრამ უცაბედად სუყოველი გეგმა ნაადრევი მეჩვენა. და თანამედროვე მხატვართა შორის ყველაზე უფრო თავმომწონემ გადავწყვიტე გალასთან ერთად საქორწინო მოგზავრობაში წასვლა ზუსტად ორი დღით ადრე, ვიდრე პარიზში, მხატვართა სატახტო ქალაქში, ჩემი პირველი გამოფენა გაიხსნებოდა. მოკლედ, ამ ჩემი პირველი გამოფენის აფიშაც კი არ მინახავს“.

თავის მეგობარ ლუის ბუნიუელთან ერთად დალიმ მუშაობა დაიწყო სცენარზე ფილმისთვის „ანდალუსიური ნაგაზი“, რომელმაც ორსავე მსოფლიო სახელი და აღიარება მოუტანა. სიურრეალიზმის იდეები, ფანტასტიკური სიზმრებისა და საჭირბოროტო სინამდვილის წარმოუდგენელი ნაზავი აღელვებდნენ და აფორიაქებდნენ საზოგადოების გონებას.

სალვადორ დალი: *„ლუის ბუნიუელმა მიამბო ფილმის იდეა, რომელი ფილმის დადგმაც უნდოდა, ხოლო დაფინანსებით დედამისი აფინანსებდა. ლუისის იდეა საეჭვოდ და პრიმიტიულად ავანგარდისტული მომეჩვენა: პირველი გვერდიდან ბოლო გვერდამდე გაცოცხლებული გაზეთი. ფინალი: გაზეთს ტროტუარიდან გვის კაფეს ლაქია. პირდაპირ ვუთხარი, მთელ ამ ამბავს იაფი სენტიმენტალობის სუნი ასდის, გახვრეტილ გროშად არ ღირს, მაგრამ მე სხვა სიუჟეტი მაქვს, მოკლე და გენიალური, თანამედროვე კინოსგან სულ განსხვავებულიმეთქი. სცენარი მართლა დაწერილი მქონდა. აღტაცებულმა ბუნიუელმა უმალვე მაცნობა, მოვფრინავ ფიგარესშიო. დავიწყეთ ერთად მუშაობა, დავაზუსტეთ ფილმის მეორეხარისხოვანი დეტალები, რომელ ფილმსაც „ანდალუსიური ნაგაზი“ უნდა რქმეოდა“.*

ეს დრო მარტო შემოქმედებითი წარმატებებით არ



დასთან – ანა-მარიასთან ერთად

აღინიშნება – 1929 წელს სალვადორ დალის ურთიერთობა გაუფუჭდა მამასთან, რომელსაც ყელში ამოუვიდა ექსცენტრული შვილის გამუდმებული გამოხდომები.

სალვადორი დალი: *„...ერთ დღესაც მივიღე მამაჩემის წერილი, ის მატყობინებდა, ჩვენი ოჯახიდან გამოგაძევეთო. აქ არ გავამჟღავნებ იმ საიდუმლოებას, რომელიც ახსნიდა ჩვენი ჩხუბის მიზეზს, ეს მხოლოდ მამაჩემსა და მე გვეხება. სულაც არ მინდა იმ ჭრილობის გამიზეზება, მთელი ექვსი წელიწადი რომ გვტანჯავდა ორსავე“.*

1936 წელს დალიმ გაწყვიტა ურთიერთობა სიურრეალიზმთან და ამპარტავნულად განაცხადა: „სიურრეალიზმი ეს მე ვარ!“

სალვადორ დალი: *„ბოლოს და ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ჯგუფი დამატოვებინეს, რადგან მეტისმეტად ეჭვიანი სიურრეალისტი ვიყავი. ყველა მოსაზრება, ჩემი ჩამოცილების გასამართლებლად რომ იშველიებდნენ, ვით ორი წვეთი წყლისა, ისე ჰგავდა იმ მიზეზებს, რომელი მიზეზებითაც ოჯახის წიაღიდან ჩემს გაძევებას ასაბუთებდნენ“.*

1937 წელს იტალიის მონახულების შემდეგ დალიმ სიურრეალიზმისგან გამიჯვნა დაიწყო. თუმცა, სურათებს ისევ და ისევ სიურრეალისტური ოცობოდობის ბეჭედი ესვათ.

სალვადორ დალი: *„...ჩემი ხვედრი იყო, არც მეტი, არც*

მეუღლესთან და მამასთან ერთად.

ნაკლები, ფერწერა მეხსნა მოდერნიზმის არარსებობისგან, თანაც კატასტროფათა ხანაში, იმ მექანიკურ და უფერულ სამყაროში, სადაც ჩვენ, საბედნიეროდ და საუბედურად, ვცხოვრობთ“.

დალი გასახელებული იყო, მაგრამ ამას დიდი ფული არ მოჰქონდა, სურათებს თითქმის ვერ ყიდდა. არადა, სალვადორსაც და გალასაც ხელგაშლილი ცხოვრება უყვარდათ. გასავალმა შემოსავალს გადააჭარბა, დალი გაჭირვებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

სალვადორ დალი: *„გამოუვალ მდგომარეობაში მყოფთ ჩვენი პიროვნულობა უნდა დაგვეცვა ყოვლის სასტიკ, ყოვლის ხანგრძლივ და ყოვლის დიდ ბრძოლაში. გარშემო ყველანი უნამუსოდ გვღალატობდნენ. იმისდა მიხედვით, რამდენადაც ჩემი სახელი როგორც კიბო, ისე ინერგებოდა საზოგადოების სიღრმეში, რომელ საზოგადოებასაც ჩემს შესახებ არც გაგონება და არც ლაპარაკი არ სურდა, პრაქტიკული არსებობა სულ უფრო ძნელი და ძნელი ხდებოდა. ვინც კი ჩემი ინტელექტუალური ზეგავლენის წინააღმდეგ გამოდიოდა, ვინც კი იმ ჩემს იდეებს ეწინააღმდეგებოდა, იმათ საფუძველშივე რომ არყევდა, ყველანი უფულობის სნეებით მასნებოვნებდნენ, მაგრამ ეს სენი მერჩივნა იმათ თავს, რადგან ვიცოდი, რომ გამოვჯანსაღდებოდი“.*

სურათების ხატვას არავითარი შემოსავალი არ მოჰქონდა. და სალვადორ დალიმ გამომგონებლის როლში სცადა თავისი თავის გამოცდა. გალა მოთმინებით ედგა მხარში, მაგრამ ექსტრავაგანტური მხატვრის სუყოველ იდეას უაზრობად და, კომერციული თვალსაზრისით, არაღირებულად მიიჩნევდნენ, მაგალითად, შექმნა „პატარასარკეებიანი ხელოვნური ფრჩხილები, რომელთა შიგან ჩახედვა შეიძლებოდა; გამჭვირვალე მანეკენები ვიტრინებისთვის, შიგ წყალს რომ ასხამდნენ, და თევზები დაცურავდნენ, ვითომ სისხლი მიმოიქცეოდა“.

ევროპა აღარ უპასუხებდა ღარიბი მხატვრის და იმისი მუზის მოთხოვნილებებს, და 1939 წელს სალვადორ დალი და გალა ამერიკის შეერთებულ შტატებში მიდიან. გაფურჩქნილმა ამერიკამ შეიყვარა დალი, რომელიც გალასთან ერთად მალევე მოერგო ამ ქვეყანას თავისი უჩვეულო საქციელითა და გამოხდომებით.

სალვადორ დალი: *„ამერიკა! იქ წასვლა ნამდვილად მინდოდა, იქ ჩემი იდეების ჩატანა მინდოდა, იმ კონტინენტზე პურის გატეხა მინდოდა. ჯულიან ლევიმ რამდენიმე გაზეთის ამონაჭერი გამომიგზავნა – გამოხმაურებანი იმ პატარა გამოფენაზე, რომელიც ცოტა ხნის წინათ მოეწყო ნიუ-იორკში: ჩემი რბილი საათებითა და სხვა მფლობელთაგან ნათხოვარი სურათებით. გაყიდვით ცოტა გაყიდულიყო, მაგრამ გამოფენას მაინც წარმატება ხვდაო, მატყობინებდა ჯულიანი. ამას მოწმობდნენ გაზეთების ამონაჭრები, ასჯერ უფრო მიუკერძოებელნი და მეტი ინფორმაციის შემცველნი, ვიდრე ევროპული კრიტიკა იყო. ...ევროპაში ცდებიან, როცა ფიქრობენ, რომ ამერიკა მოკლებულია პოეტურ შორსმჭვრეტელობას და ინტელექტუალურ ალღოს... ამერიკა ირჩევს არა გამოცდილებით ანდა გულით, არამედ მძლავრი ბიოლოგიური ძალით. მან იცის, რა არა ჰყოფნის და რა არა აქვს. და რაც სულიერი თვალსაზრისით არა ჰყოფნის, მე მივცემ ჩემთა პარანოიალურ ნაწარმოებთა სახით“.*

1942 წელს მხატვარმა გამოსცა თავისი პირველი ბიოგრაფია – „სალვადორ დალის საიდუმლო ცხოვრება, თავისივე მიერ მოყოლილი“. წიგნს განსაცვიფრებელი წარმატება ხვდა.

(გაგრძელება მორიგ ნომერში)

თანამედროვე ბოროტი ქართველი-მოძულეობა

(მეოთხე გვერდიდან)

ხომ გიჟის ბოდვას ჰგავს, მაგრამ ყველაფერ ამას აქვს თავისი ლოგიკა, რომლის არსიც ის არის, რომ რაც უფრო წარმოუდგენლად დიდ სისულელეს მიაწვდი უგირ კაცს გეჭდვური სიტყვით, მით უფრო დიდი შანსია, პირწმინდად დაიჯეროს.

მთავარი ის კი არ არის, რომ „აკადემიკოსი“ სურენ აივაზიანი სულაც არ არის აკადემიკოსი, რომ გიჟი თავისუფალია, მთავარი ის არის, რომ გაზეთი, სადაც ეს „ისტორიული წიაღსვლები“ იყო დაბეჭდილი, ათასობით შემოიტანეს საქართველოში და დაარიგეს. ამ „ინტელექტუალურ“ კონტრაბანდაში მრავალი ადამიანი იყო ჩართული, რომლებიც სავსებით გამოკვეთილ ანტიქართულ მიზანს ისახავდნენ.

შევაჯამოთ: აივაზიანი გიჟია, მაგრამ მის სიგიჟეს გამიზნულად იყენებს საქართველოს მტერი (სხვას ვერ დაარქმევ!) ჭკვიანი სომხების ერთი ჯგუფი.

ღმერთმა იცის, საიდან გამოგიტყვრება ეს ჯგუფი...

* * *

მახსოვს, რამდენიმე წლის წინათ საქართველოს სომხური ეპარქიის ორგანო – რუსულ-სომხურენოვანი ჟურნალი „ნორაშენი“, მოგვდგა, თავგამოდებით შემოგვიტია „სომხური თემების არასწორად გაშუქებისთვის“.

ალბათ არც ეღირებოდა მასზე გამოხმაურება, იმდენად „ჩვეულებრივი“, „რიგითი“ და ნაცნობია იქ ყველაფერი. სადავო ამ ორ მეზობელს, ილიას „ქვათა ღაღადიდან“ მოყოლებული, გვქონდა, გვაქვს და გვექნება. ამაში არც მოულოდნელია რამე და არც დიდად გასაკვირი. მაგრამ სომხურ პრესაში მომძლავრებული ანტიქართული გამოსვლების ფონზეც კი უმტკივნეულესია (უპირველეს ყოვლისა, ჩვენი მოძმე და მეგობარი სომხებისთვის, თუ საუკუნეთა მანძილზე თანაცხოვრებასა და ერთობლივ ბრძოლას დავდებთ სასწორის პინაზე) სისასტიკითა და მძვინვარე ქართველთმოძულეობით გამორჩეული ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონის შექმნის გამართლება და ამ გამართლების „დასაბუთება“.

ბაგრამიანის სახელობის ბატალიონის მებრძოლები გაგრის დაცემას „ზეიმობენ“

აი, რას წერს ამ დანაშაულებრივი სამხედრო ფორმირების დაფუძნების მიზეზზე „ნორაშენი“: **„ბაგრამიანის სახელობის ბატალიონი იმ მამებისა და ძმებისგან შეიქმნა, ვისი ცოლები, დები და დედები აფხაზეთის ომის მონაწილე მაროდიორებმა (ბუნებრივია ამ საზიზღარ მაროდიორებში ქართველები იგულისხმება – ა.ა.) დახოცეს“.**

მოდით, „ნორაშენის“ მტკიცებულება ფაქტებით განვიხილოთ, ოღონდ ამ „მტკიცებულების“ უსაფუძვლობას ქართული წყაროებით კი არ გავაბათილებ, არამედ ამ შემთხვევაში მართლაც უტყუარი და მიუკერძოებელი აფხაზურით. მართლა ასე იყო, მართლა წმინდა შურისძიება ამოძრავებდათ ცოლებ-დებ-დედებდახოცილ მამებსა და ძმებს?

2005 წელს სოხუმში გამოიცა (მეორე გამოცემა) მილიციის პოლკოვნიკ **რ. ხოჯაას წიგნი „სომხური ბატალიონი აფხაზეთის ხალხთა სამამულო ომში 1992-1993 წ.წ.“** (სხვათა შორის, გამოიცა სტ. მინასიანის, ა.ა. მინასიანის, გ.ე. კალაიჯიანის, რ. გრიგორიანისა და ს. კერესელიანის ფინანსური დახმარებით), ხელში ჩამივარდა ამ წიგნის ქსეროასლი. ავტორი შავით თეთრზე წერს: ბაგრამიანის სახელობის ბატალიონის შტაბის უფროსმა ლიონია მარქარიანმა **1990 წელს, ომის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე (!) თავის სოფელში (გაგრის რაიონი) შექმნა „თავდაცვისა და წესრიგის დაცვის ჯგუფი“ – პირველი „სომხური შეიარაღებული სამხედრო ფორმირება“.**

ახლა სომხური ბატალიონის მთელი ომის მანძილზე მის უცვლელ მეთაურს ვაგარშაკ კისიანს მოვუსმინოთ: გაგრის რაიონის **„ოკუპირებულ სომხურ სოფლებში ჩამოყალიბდა აფხაზეთის პატრიოტთა იატაკქვეშა უჯრედები. ამ ფაქტმა განაპირობა ის, რომ გაგრის რაიონის გათავისუფლების შემდეგ მოკლე დროში შეიქმნა სამხედრო ფორმირებები სომეხი ეროვნების პირთაგან: სოფლებში მეხადირსა და სალმაში – ორი ასეული, სოფელ ბარანოვკაში – ოცეული, ხაშუპსაში – ოცეული. ბატალიონის დანარჩენი ნაწილი სხვა სოფლებიდან შეივსო“. სოფელ ბზიფის მცხოვრებთა კრებაზე გადაწყვეტილა: „დავიცვათ ის მიწა, რომელზეც ცხოვრობდნენ, რომელმაც შეიფარა და ჭერი მისცა ჩვენს წინაპრებს ძნელბედობისას“.**

ისევ და ისევ არც ერთი ფაქტი მათი ცოლების, დედებისა და დების შეურაცხყოფისა და მკვლელობისა, რასაც მამაკაცები რისხვითა და შურისძიებით უნდა აღევსო.

არა, უბრალოდ, აფხაზეთში მცხოვრებმა სომხებმა იარაღი აიღეს „ოკუპანტი ქართველებისგან მშობლიური აფხაზეთის დასაცავად“.

აი, როგორ შოულობდნენ იარაღს: „უმამაცესმა კარენ შიშმანიანმა ერთ-ერთ სახლში დაბანაკებული ორი პოლიციელი (ქართველი) მოსპო, ამრიგად ორი ავტომატი და ხელყუმბარა იშოვეს. ვაგარშაკის საშუალო ძმამ აშოტმა სამლიტრიანი ბალონით „ჭაჭა“ და „ბალახი“ წაიღო გასამასპინძლებლად და იმ სახლში მივიდა, სადაც 6 გვარდიელი ცხოვრობდა. როცა დათვრნენ და მიეძინათ, აშოტმა ისინი გულცივად დახვრიტა და სომხური ჯგუფი იარაღის ახალი პარტიით გაამდიდრა“.

დაბოლოს, ალოგიკურობითა და უაზრობით პირდაპირ გამაოგნებელი დასკვნა: **„ამრიგად ჩვენ – სომხებს ნეიტრალიტეტის დაცვის არავითარი შანსი არ დაგვიტოვეს!“**

ასე იცავდნენ „მშობლიურ“ აფხაზეთს სომხები, რომელთა პირველი ნაკადის საქართველოში ირანის აზერბაიჯანიდან ჩამოსახლება დაიწყო რუსეთ-ირანის ომის შემდეგ, 1828 წლის მარტში და დამთავრდა იმავე წლის 1 ოქტომბერს. 1 მაისისთვის ოფიციალურად გადმოასახლეს სომეხთა 5 ათასი ოჯახი, არაოფიციალურად კი – 8249 ოჯახი.

შემდეგ მეორე ეტაპი იყო: ოსმალეთიდან საქართველოში სომეხთა გადმოსახლებისა.

> **აი, ეს არის სიმართლე და ეს სიმართლე იცის ყველამ, მათ შორის თვით სომხობამ, რომელსაც ის არც არასდროს დავიწყებია. ჩამოასახლეს და არც დასაპურებლად მიწვდილი ლუკმა დაგვიმადლებია და არც სახლის ჩასადგმელი ეზო.**
>
> **თვითონ სომხები რატომ ხდიან ამას სადავოდ და ავი ძაღლივით საღავღავოდ?! ჩვენი, ორი ხალხის თანაცხოვრების გმირულ ისტორიას ეს არ ეკადრება, მაგრამ...**

ალეკო ასლანიშვილი

საქართველოს ზეცა ნატოს მსგავსად იქნება დაცული

რუსული გამოცემა, „kovvtrsant4-ი საფრანგეთის მიერ თბილისისთვის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების გადმოცემას ეხმაურება.

„საქართველოს საჰაერო სივრცე ამიერიდან მთლიანად იქნება გაკონტროლებული და დაცული ფრანგული რაკეტებით და რადიოლოკაციური სისტემით Mistral Atlas, რომელიც პარიზმა თბილისს სამი წლის წინ ხელმოწერილი კონტრაქტის საფუძველზე გადმოსცა. ამრიგად, საფრანგეთმა მთლიანად შეასრულა 100 მილიონი ევროს ღირებულების დაკვეთა. გარდა ამისა, ამერიკელი სპეციალისტები მზად არიან, განაახლონ საქართველოს სამხედრო შვეულმფრენების პარკიც, რაც საფუძველს შექმნის ძველი საფრენი აპარატები ახლით შეიცვალოს“, – ნათქვამია სტატიის დასაწყისში.

„საქართველოს სამხედრო ავიაციის დღისათვის, რომელიც პირველ ოქტომბერს აღინიშნა, ქართულმა არმიამ კარგი საჩუქარი მიიღო – ფრანგული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი Mistral Atlas და მისი თანხმლები რადიოლოკაციური სისტემა (მწარმოებელი კომპანიები Thales Las lf MBDA). ეს ყველაფერი ალექსეევკას სამხედრო აეროდრომზე იქნა გამოფენილი, თბილისთან ახლოს. მას საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე და საფრანგეთის ელჩი პასკალ მენიეც დაესწრნენ“, – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, „ფრანგული ჰაერსაწინააღმდეგო იარაღი ქვეყნის საჰაერო სივრცეს საიმედოდ დაიცავს“. ქართველი სამხედროების მტკიცებით, Mistral Atlas დღეისათვის მსოფლიოში საუკეთესოდ ითვლება ამ კლასის იარაღს შორის.

სტატიაში ციტირებულია ქართველი ექსპერტების ირაკლი ალადაშვილის და ვახტანგ მაისაიას კომენტარები. როგორც სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი „არსენალის“ მთავარი რედაქტორი ირაკლი ალადაშვილი ამბობს „კომერსანტის“ კორესპონდენტთან საუბარში, ფრანგული წარმოების საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საქართველოს საჰაერო სივრცის დაცვის დონეს და რადგანაც მას თავდაცვითი ხასიათი აქვს, „ვერავინ ვერანაირ პრეტენზიას ვერ წამოგვიყენებს“.

რაც შეეხება შვეულმფრენების პარკის განახლებას, ექსპერტ ვახტანგ მაისაიას აზრით, საკითხი, როგორც ჩანს, იმ საფრენი აპარატების რემონტს ეხება, რომლებიც ქართულ არმიის შეიარაღებაში 2001-2002 წლებიდანაა: „იმ პერიოდში აშშ-მა 16 შვეულმფრენი Bell UH-I Iroquois გადმოგვცა, რამდენიმე მათგანი მწყობრიდანაა გამოსული და მათ სათადარიგო ნაწილები სჭირდებათ. ვახტანგ მაისაიამ არ გამორიცხა აშშ-ის მიერ რამდენიმე დამატებითი შვეულმფრენის გადმოცემაც, რაც შეიძლება სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიის საფუძველზე განხორციელდეს. ამ დოკუმენტს თბილისმა და ვაშინგტონმა ხელი მოაწერეს 2008 წლის აგვისტოს „ხუთდღიანი ომის“ შემდეგ.



უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წლის აგვისტოში მომხდარი საბრძოლო მოქმედებების შემდეგ დასავლეთის სახელმწიფოებმა საქართველოს სასიკვდილო იარაღის მიწოდებაზე უარი განუცხადეს და ემბარგო დააწესეს, ახლა კი აშკარაა, რომ იარაღის იმპორტის საკითხში ბარიერები მოიხსნა. როგორც ანალიტიკოსი დავით ავალიშვილი აცხადებს „კომერსანტის“ ჟურნალისტთან საუბრისას, დასავლეთის გადაწყვეტილებაზე გავლენა ყირიმისა და დონბასის მოვლენებმა მოახდინეს: **„საქართველოსადმი სამხედრო დახმარება – ეს რუსეთის „შეკავების პოლიტიკის“ ერთ-ერთი ელემენტია“,** – აღნიშნა ანალიტიკოსმა.

„KOMMERSANT“ (რუსეთი)

თბილისის ძველ უბნებში სოკოებივით იზრდება ჩინური პაგოდის მსგავსი კორპუსები...

„საქართველოს დედაქალაქმა თანამედროვე სახით გაშენება-აღორძინება მხოლოდ 200 წლის წინ დაიწყო, მაგრამ, ამის მიუხედავად, თბილისი მრავალი არქიტექტურული სტილის მქონე ქალაქს წარმოადგენს, სადაც ევროპული და აზიურიც „ერთად იხარშება“. თუმცა ერთი რამ აქედანვე უნდა ვთქვათ: დედაქალაქის რეკონსტრუქციის დროს ქართველები შენობათა ძველ სახეს ყურადღებით არ იცავენ“ — ასე იწყება გერმანული გამოცემის, „Frankfurter Neue Presse“-ს მიერ ქტრისტიან ჰუტერის ავტორობით გამოქვეყნებული სტატია, რომლის ქართულენოვან ვერსიას საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ:

ლეგენდის თანახმად, თბილისი 1600 წლის წინათ დაარსებულა. ამ დროის მანძილზე მტრებს ქალაქი 20-ჯერ მაინც დაუნგრევიათ. სულ ბოლოს, 1795 წელს, როცა საქართველოს სპარსელები შემოესივნენ, აღა-მაჰმად ხანმა თბილისი გადაწვა და ნაცრად აქცია. ასე რომ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქალაქში დღეს 200 წელზე მეტი ხნის კერძო სახლი აღარ არსებობს. ძალიან ცოტაა საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა, ასევე შემორჩენილია მე-5 საუკუნის ციხე-სიმაგრის ნანგრევები. მაგრამ უკვე 1801 წელს, ქალაქის ბოლო დანგრევიდან 6 წლის შემდეგ, ქართველებმა დახმარებისთვის თავიანთ ჩრდილოელ ქრისტიან მეზობლებს — რუსებს მიმართეს, რომლებსაც დიდი ხვეწნა არ დასჭირვებიათ.

დღეს საქართველო, ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე სპატიო სტუმრის სტატუსით მიწვევასთან დაკავშირებით, კულტურის სამყაროს წარმომადგენელთა ყურადღების ცენტრშია. ამიტომ სწორედ საქართველოს დედაქალაქს ეძღვნება გამოფენა „ჰიბრიდული თბილისი“, რომელიც ფრანკფურტის ხელოვნების მუზეუმშია გახსნილი. აქცენტი იმიტომაა გაკეთებული თბილისზე, რომ ქვეყნის მოსახლეობის (3,7 მილიონი) მნიშვნელოვანი ნაწილი — 1,2 მილიონი ადამიანი თბილისში ცხოვრობს.

საერთოდ, ყოველი ქვეყნის დედაქალაქის არქიტექტურაში ხელისუფლების საქმიანობის დემონსტრირებაც არის წარმოსახული, რომელიც მისი საქმიანობის პოზიტიურ მნიშვნელობაზე მიანიშნებს. თბილისშიც ასეა — აქ ვხედავთ სტალინური კლასიციზმისა და გვიანდელი საბჭოთა მოდერნისტული სტილით აგებულ შენობებს, უკვე ნგრევის პირას მყოფ ძველ დარბაზებს და შედარებით ახალ მუზეუმებს, ევროპული არქიტექტურული სტილის მქონე ადმინისტრაციულ ნაგებობებს. თბილისში მოდერნისტულ სტილით აგებული თითქმის 300-მდე შენობაა შემონახული.

ჩვენი ყურადღების ცენტრში მაინც ბოლო 100 წლის მანძილზე აგებული შენობებია — ქვეყნის საბჭოთა პერიოდიდან დაწყებული. მათი გამოსახულება ფოტოებზე კარგად არის შემორჩენილი — როგორც შავ-თეთრზე, ასევე ფერადზეც. ასე, მაგალითად — 1930-40-იან წლების ფოტოსურათებზე ასახულია სტალინური ეპოქის შენობები, რომლებიც შეიძლება მოდერნისტულად ჩაითვალოს, დასავლეთთან კონკურენციის გათვალისწინებით. 1930-იან წლებში თბილისის განაშენიანების პროექტს უშუალოდ ლავრენტი ბერია აკონტროლებდა. მას, როგორც პროფესიით მშენებელ-არქიტექტორს, სურდა თავისი ოცნება განეხორციელებინა — თბილისი იტალიური სტილის მქონე ქალაქად გადაექცია.

უფრო საინტერესოა გვიანდელი საბჭოთა პერიოდის შენობებიც - 1960-იან და 80-იან წლებში აგებული. ყველაზე ცნობილია საგზაო მშენებლობის ყოფილი სამინისტროს შენობა, რომელიც საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე: ბორცვზე ჩასმულ ხიმინჯებზე მდგარი კორპუსი თითქოსდა ჰაერში მიფრინავს. სხვათა შორის, თავის დროზე, 1975 წელს, ამ პროექტმა დასავლეთში საკმაო აჟიოტაჟი გამოიწვია.

საბჭოთა კავშირის დაშლის წინ და მის შემდეგ თბილისში მშენებლობა ქაოტურად მიმდინარეობდა — ყველა იმას აშენებდა, რაც სურდა და როგორიც უნდოდა. ასეთი იყო, მაგალითად, პანელის კორპუსებში „კამიკაძე-ლოჯიების“ მოწყობა, ანუ ბალკონ-აივნების საძილე ოთახად გადაქცევა (ბინის მეტი ფართობის მიზნით). ასეთ სარისკო მშენებლობას იმ დროს არავინ კრძალავდა და ამიტომ თითქმის ყველა აკეთებდა.

ბოლო ოცწლეულში ქალაქი მნიშვნელოვნად შეიცვალა და გაფართოვდა. დღეს თბილისში საკმაოდ ბევრი ძველი შენობაა აღდგენილი, თუმცა საკმაოდ ავანტიურულად. მშენებლობაც ხშირად ასევე ავანტიურულად წარმოებს — ძველ შენობებს შორის სოკოებივით იზრდება ახალი, ჩინური პაგოდის მსგავსი მრავალსართულიანი თანამედროვე კორპუსები. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში საქართველოში გერმანელი არქიტექტორები იყვნენ მიწვეულნი, მათ შორის ბერლინის Graft-ს ბიუროდან, რომლებმაც ძველი საბჭოური სასტუმრო თანამედროვედ გადააკეთეს.

ბერლინელმა არქიტექტორმა იურგენ მეიერმა საქართველოში 7 წლის განმავლობაში 13 მსხვილი პროექტი განახორციელა — აეროპორტებიდან და პოლიციის შენობებიდან დაწყებული, გზებზე დასვენების, ვაჭრობისა და კვების ობიექტებით დამთავრებული. ასეთი მიდგომა პოზიტიურია: შენობები ემსახურება როგორც ტურისტებს, ასევე ადგილობრივ მოსახლეობასაც.

„Frankfurter Neue Presse“ (გერმანია)

კომპანია „სვეტის“ ხელმძღვანელი პირები თაღლითობისთვის დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, სასამართლოს განჩინების საფუძველზე მიმდინარე წლის 3 ოქტომბერს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის (თაღლითობა, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობით მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით) ჩადენისათვის სამშენებლო კომპანია ,,სვეტის“ ხელმძღვანელი პირები გ.ჯ. და თ. ჯ. დააკავეს.

ბრალდებულებმა გ.ჯ.-მ და თ.ჯ.-მ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, განიზრახეს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით მოტყუებით დაუფლებოდნენ მოქალაქეთა კუთვნილ დიდი ოდენობით თანხებს. სწორედ ამ მიზნით, დეველოპერული კომპანია „სვეტის“ მიერ 2016 წლის დასაწყისში დაანონსდა მასშტაბური ბინათმშენებლობის პროექტების დაწყება ისე, რომ კომპანიას მშენებლობის შესაბამისი ნებართვები არ ჰქონდა მიღებული. დიდი ოდენობით თანხის მოსაზიდად, ჩატარდა აქტიური სარეკლამო კამპანიაც, მათ შორის სოციალური ქსელების გამოყენებით, რითაც მოხდა ბინის შეძენით დაინტერესებული როგორც ადგილობრივი ასევე, საზღვარგარეთ მცხოვრები მოქალაქეების მოზიდვა.

გამოძიებით დადგინდა, რომ მხოლოდ ერთ ობიექტზე, ბრალდებულები გ.ჯ. და თ.ჯ. მოტყუებით დაეუფლნენ მენაშენეთა კუთვნილ თანხას 3 356 385 ლარის ოდენობით.

გამოძიების პროცესში 5 000-ზე მეტი საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა. მათ შორის ქვეყნის მასშტაბით გამოიკითხა 2000-ზე მეტი მენაშენე და საქმესთან შემხებლობაში მყოფი პირი. ამოღებულია დეველოპერულ კომპანია „სვეტთან“ კავშირში მყოფი ორგანიზაციების: შპს „სვეტი დეველოპმენტის“, შპს „სვეტის“, შპს „სვეტი ჯგუფის“, შპს „სვეტი ნუცუბიძის“ და შპს „ვანკონსტრაქშენის“ საბუღალტრო და იურიდიული დოკუმენტაცია, რომლებზეც დაინიშნა თემატური შემოწმება და რევიზია. პარალელურად, კომპანიების მიერ ქალაქ თბილისში (მირცხულავას ქუჩა №9/11, ჭყონდიდელის ქუჩა №22, ნუცუბიძის ქუჩა №125, წერეთლის გამზ. №27) და ქალაქ ბათუმში (თამარ მეფის ქუჩა №1) მშენებარე ობიექტებზე ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულების დადგენის მიზნით, დაინიშნა და ამჟამადაც მიმდინარეობს საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზები.

ამ ეტაპზე, აქტიურად გრძელდება საგამოძიებო მოქმედებები ზემოხსენებული კომპანიების მიერ საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობის პროცესში ჩადენილი ყველა შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების და დანაშაულში მონაწილე სხვა პირთა გამოვლენის მიზნით.

შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე, დეველოპერული კომპანია „სვეტის“ ყველა მენაშენე, რომელსაც კომპანიის ხელმძღვანელების დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მიადგათ მატერიალური ზიანი, ცნობილ იქნებიან დაზარალებულებად.

უცხოური ტურიზმიდან შემოსავალი 22.2 პროცენტით გაიზარდა

წინასწარი მონაცემებით 2018 წლის იანვარი-აგვისტოს მდგომარეობით **შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან საქართველოში შეადგენს 2,233მილიონ დოლარს (ზრდა +22.2%), რაც 405 მილიონით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.**

2018 წლის I-II კვარტლის მდგომარეობით შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან საქართველოში შეადგენს 1,361 მილიონ დოლარს (ზრდა (28.9%), რაც 305 მილიონით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. 2017 წლის ჯამური მონაცემებით შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან საქართველოში შეადგენდა 2.7მილიარდ (2,704,339,872) დოლარს (ზრდა +28.1%), რაც 594 მილიონი დოლარით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ტურიზმის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 2018 წლის I-II კვარტლის მონაცემებით შეადგენს 7.1%-ს. ზრდა წინა წელთან შედარებით +17.6%-ია.

სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა სექტორში, ქალებს კაცებზე ნაკლები ანაზღაურება აქვთ

ქალთა ჩართულობა, სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება საქართველოში —სწორედ ამ ძირითადი საკითხების შესახებ იმსჯელეს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) მუდმივმოქმედი კომიტეტის შეხვედრაზე, რომელიც გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ინიციატივით გაიმართა. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა და აქტიური დისკუსია შედგა სოფლის მეურნეობის სფეროში გენდერული უთანასწორობის პრობლემაზე, მის გამომწვევ მიზეზებსა და სოფლად ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესში ამ მხრივ არსებულ გამოწვევებზე.

მონაწილეებმა იმსჯელეს სექტორში გენდერის კუთხით არსებულ პრაქტიკაზე და ENPARD-ის პროგრამით გათვალისწინებულ მხარდამჭერ ღონისძიებებზე, ასევე სოფლად ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის უფრო ეფექტიანი პოლიტიკის წარმართვის შესახებ.

განცხადება

ბმა „ავლაბარი 12“ კრების მოწვევის შესახებ ცვლილებასთან დაკავშირებით ამხანაგობის სახელით გიწვევთ ბმა „ავლაბარი 12“-ის კრებაზე.

კრება შედგება 2018 წლის 4 ოქტომბერს 13 საათზე.

მისამართი: ავლაბრის ქ. №12-ის ეზოში (ქვორუმის არ შედგომის შემთხვევაში კრება მოიწვევა 2018 წლის 5 ოქტომბერს 13 საათზე, იმავე დღის წესრიგით.

ბმა „ავლაბარი 12“-ის ადმინისტრაცია

◎ ახალგაზრდულ ფორუმზე

პირველი „ოქროსთვის“ – „ვერცხლის ქვეყანაში“

შაბათს არგენტინის დედაქალაქში მსოფლიოს მესამე ახალგაზრდული თამაშები იწყება, სადაც სპორტის 32 სახეობაში მედლების 241 კომპლექტი გათამაშდება. 178 ქვეყნის 400-მდე წარმომადგენელს შორის 10 სახეობაში მოასპარეზე საქართველოს 15 წარგზავნილიც იქნება (მისიის ხელმძღვანელი – ოლიმპიური ჩემპიონი ნინო სალუქვაძე, ადმინისტრაციული პერსონალის შეფი – რუსუდან აფციაური).

როგორც შევიტყვეთ, ახალგაზრდა „ჯვაროსნები“ დამდეგი ფორუმის მედლებისთვის ჭიდაობაში, ძიუდოში, მხატვრულ ტანვარჯიშში, ძალოსნობაში, მძლეოსნობაში, ტყვიის სროლაში, თანამედროვე ხუთჭიდში, ტაეკვანდოში, ჩოგბურთსა და, პირველად, გუნდურ სახეობაში – ქუჩის კალათბურთში იბრძოლებენ.

საქართველოს დელეგაცია ბუენოს აირესში გუშინ გაემგზავრა, მანამდე კი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შტაბ-ბინაში გაცილების საზეიმო ცერემონიალი მოეწყო, რომელსაც სეოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი უძღვებოდა. თანამემამულეებს გზა დაულოცეს სეოკ-ის თავკაცმა ლერი ხაბელოვმა, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ შალვა გოგოლაძემ, ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა, სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა კახი კახიაშვილმა და სეოკ-ის პარტნიორ „საქართველოს ბანკის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ხათუნა კაკაბაძემ.

თანაგუნდელთა სახელით ფიცი ტანმოვარჯიშე ქეთევან არბოლიშვილმა დადო, ღონისძიება კი ახალი ფორმების ჩვენებით დაგვირგვინდა.

ალბათ, დაგაინტერესებთ ქართველთა მონაგარიც წინა თამაშებზე. გაუწყებთ, რომ ჯერჯერობით 2-2 „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“ გვაქვს მოპოვებული – შესაბამისად, სინგაპურსა (2010) და ჩინურ ნანკინში (2014) საპატიო კვარცხლბეკზე ავიდნენ ირაკლი მოსიძე (თავისუფალი ჭიდაობა, მესამე ადგილი), აგრეთვე თამაზ კირაკოზაშვილი (ძიუდო, მეორე ადგილი), მექი სიმონია (თავისუფალი ჭიდაობა, მეორე ადგილი) და ივერიკო ჯულაყიძე (თავისუფალი ჭიდაობა, მესამე ადგილი).

საქართველოს დელეგაციის შემადგენლობა: გიორგი თოხაძე (51), გიორგი ჩხიკვაძე (60) (თავისუფალი ჭიდაობა, მწვრთნელი ვაჟა კრავეიშვილი), გიორგი გეგელაშვილი (48) (მწვრთნელი ვაჟა კრავეიშვილი), ილია სულამანიძე (100) (ძიუდო, მწვრთნელი გიორგი ყიზილაშვილი), გიორგი კეკიშვილი (უროს ტყორცნა) (მძლეოსნობა, მწვრთნელი დავით კეკიშვილი), არჩილ მალაყმაძე (69) (ძალოსნობა, მწვრთნელი ზურაბ ანთაური), ანა მაქაცარია (ჩოგბურთი, მწვრთნელი კონსტანტინე ბოლდირევი), გაგა ხიჯაკაძე (თანამედროვე ხუთჭიდი, მწვრთნელი კახა გოცირიძე), ზურაბ კინწურაშვილი (48) (ტაეკვანდო, მწვრთნელი გიორგი ბერაია), ქეთევან არბოლიშვილი (მხატვრული ტანვარჯიში, მწვრთნელი ბელა კობალაძე), ნინო ხუციბერიძე (10 მეტრი. პნევმატური პისტოლეტი) (ტყვიის სროლა, მწვრთნელი ნინო სალუქვაძე), ლუკა მაზიაშვილი, ოთარ პერტაია, ზურაბ ჟღენტი, ლაშა მიქელაძე (ქუჩის კალათბურთი, მწვრთნელი გრიგოლ გურგენიძე).

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჭადრაკი

ლიდერებმა პოზიციები დათმეს

აჭარის დედაქალაქში მიმდინარე მსოფლიოს 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადის მე-8 ტური ქართველ მოჭადრაკეთა წარუმატებელი აღმოჩნდა: ქალთა პირველმა ნაკრებმა ყაზახეთთან 1:3 წააგო და ლიდერებს – ჩინეთისა და უკრაინის გუნდებს 2-2 ქულით ჩამორჩა. ჩვენმა მეორე ნაკრებმა აზერბაიჯანელებთან დათმო შეხვედრა. დამარცხდა ვაჟთა პირველი ნაკრებიც – ამჯერად მოლდოვის გუნდთან.

ქალები

საქართველო (1) – ყაზახეთი 1:3 (ნანა ძაგნიძე – დინარა სადუაკასოვა 0.5:0.5, ლელა ჯავახიშვილი – ჟანსაია აბდუმალიკი 0:1, ნინო ბაციაშვილი – გულისხან ნახბაიევა 0.5:0.5, მერი არაბიძე – გულმირა დაულეთოვა 0:1), **საქართველო (2) – აზერბაიჯანი 1.5:2.5** (სალომე მელია – გუნაი მამაზადე 0:1, ინგა ჭარხალაშვილი – ზეინაბ მამედიაროვა 1:0, სოფიო გვეტაძე-ხანიმ ბალაიჯიევა 0:1, სოფიკო ხუხაშვილი – გულნარ მამადოვა 0.5:0.5), **ალჟირი – საქართველო (3) 1.5:2.5** (ამინა მეზიუდი – ნინო ხომერიკი 0.5:0.5, საბრინა ლატრეჩი – მარიამ ჯანიაშვილი 0:1, ჰაიათ თუბალი – თამარ ესაძე 0.5:0.5, ლინა ნასრი – დიანა ლომაია 0.5:0.5)... **უკრაინა – სომხეთი 3:1, ჩინეთი – რუმინეთი 3.5:0.5, აშშ – იტალია 3:1, უნგრეთი – ინდოეთი 3:1, ჰოლანდია – რუსეთი 0:4, ირანი – პერუ 3.5:0.5, პოლონეთი – მონგოლეთი 0.5:3.5, უზბეკეთი – ჩეხეთი 2:2.**

რვა ტურის შემდეგ: ჩინეთი (საერთო მონაგარი 23.5 ქულა), უკრაინა (23) – 14-14, აშშ (22), უნგრეთი (22.5), აზერბაიჯანი (22.5), სომხეთი (21), ყაზახეთი (23) – 13-13, რუსეთი (23.5), საქართველო –1 (20), ირანი (22), მონგოლეთი (21.5), რუმინეთი (20) – 12-12 ქულა, 13. საქართველო (2) – 11 (21.5), 23. საქართველო (3) – 11 (20.5) ქულა.

ვაჟები

მოლდოვა – საქართველო (1) 2.5:1.5 (ვიორელ იორდანესკუ – ბაადურ ჯობავა 1:0, ვლადიმირ ჰამიტევიჩი – ივან ჩეპარინოვი 0.5:0.5, დმიტრი სვეტუშკინი – ლევან ფანცულაია 1:0, ნიკიტა მოროზოვი – დავით ჯოჯუა 0:1), **საქართველო (2)-ნეპალი 3.5:05** (ლუკა პაიჭაძე – ჰიმალ ლამა 1:0, დავით მაღალაშვილი – ბიბეკ თინგი 0.5:0.5, ირაკლი ბერაძე – რუპეშ ჯაისვალი 1:0, გიგა ყუფარაძე – რიენდრა რახბჰანდარი 1:0), **ინდონეზია – საქართველო (3) 2:2** (ნოვენდრა პრიასმორო – ლუკა ობოლაძე 1:0, ვინშანდ კუჰენდი – ნიკოლოზ პეტრიაშვილი 0:1, აზარია სეტიაკი – ნიკოლოზ კაჭარავა 1:0, პიტრა ანდიკა – გიორგი სიბაშვილი 0:1)... **აშშ – აზერბაიჯანი 2.5:1.5, სომხეთი – პოლონეთი 2:2, ჩეხეთი – ინდოეთი 1.5:2.5, ესპანეთი – გერმანია 1.5:2.5, ისრაელი – ინგლისი 1.5:2.5, საფრანგეთი – უკრაინა 2.5:1.5, ჩინეთი – ჰოლანდია 2.5:1.5, რუსეთი – ბელარუსი 3:1, ხორვატეთი – ირანი 2.5:1.5, ვიეტნამი – ყაზახეთი 2:2.**

რვა ტურის შემდეგ: აშშ – 15 (23), პოლონეთი – 14 (22.5), შვიდ გუნდს 13-13 ქულა აქვს. უკეთესი დამატებითი მაჩვენებლებით მესამე ადგილზეა აზერბაიჯანი (22.5). 38. საქართველო (1) – 10 (20), 41. საქართველო (2) – 10 (19.5), 59. საქართველო (3) – 9 (19) ქულა.

ლექსო ცინცაძე

◎ ლეგიონერი

შერმადინმა 8 ქულით დაინყო

გიორგი შერმადინის „უნიკახამ“ ევროთასის პირველ ტურში მარცხი განიცადა. მალაგელები სეზონის სტარტზე ვილნიუსის „რიტასს“ ესტუმრნენ და 72:80 წააგეს.

ქართველი ცენტრი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 15 წუთში 8 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი და 1 დაფარება მიითვალა. გიორგიმ ორქულიანი და 8-დან 6 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი 2-ჯერ დაკარგა, 1 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი 5-ჯერ დაჯარიმდნენ.

შედეგად, შერმადინის სარგებლიანობის კოეფიციენტი 13-ს გაუტოლდა და ის ესპანური გუნდის რიგებში მხოლოდ ფრანგ ცენტრ მათიას ლესორს (16) ჩამორჩა, რომელმაც 16 ქულა ჩააგდო. „უნიკახას“ D ჯგუფის მომდევნო შეხვედრა 9 ოქტომბერს ელის, როდესაც ფრანკფურტის „სკაილაინერზს“ უმასპინძლებს.

კობა კობახიძე

◎ ფეხბურთი

ყოფნა-არყოფნა ვარსკვლავურად

მას შემდეგ, რაც სექსუალურ სკანდალში გახვეულ კრიშტიანუ რონალდუს ჩემპიონთა ლიგაში ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს, დღის წესრიგში „იანგ ბოიზთან“ ჯგუფური რაუნდის მეორე ტურში გასამართ შეხვედრაში „ბებერი ქალბატონის“ მოიერიშეთა შორის შესაძლო პრობლემების საკითხი დადგა. როგორც აღმოჩნდა, ტურინის „იუვენტუსის“ ქომაგები უსაფუძვლოდ ნერვიულობდნენ – არგენტინელი პაოლო დიბალას სახით იტალიურ გრანდს ისეთი მხსნელი მოევლინა, რომელმაც „ჰეთ თრიქი“ შეასრულა და პარტნიორებს მორიგი გამარჯვება მოუტანა – 3:0.

სხვათა შორის, „ბებერი ქალბატონის“ ახალ ლიდერს უკავშირდება მისი ძველი კლუბის ფიასკო, რომელიც „რეალმა“ მოსკოვში განიცადა ცსკა-სთან – 0:1. პორტუგალიელის წასვლის შემდეგ ესპანელთა ყოჩობა ბეილიმ ითავა, მაგრამ უელსელის გარდა, ტრავმების ეპიდემიამ ლაზარეთის ბინადრებად ისკო, მარსელო და სერხიო რამოსი აქცია, რუსეთში მათ გარეშე ჩასულ მარადიულ ფავორიტს კი არმიელებმა სუსხიანი დახვედრა მოუწყვეს.

ხმები მიუნხენის „ბაიერნის“ კრიზისის შესახებ რომ გადაჭარბებული არ ყოფილა, კიდევ ერთხელ დაადასტურა „აიაქსთან“ „ალიანს არენაზე“ გამართულმა პრინციპულმა მატჩმა, რომელშიც სტუმრები ისე შთამბეჭდავად გამოიყურებოდნენ, კაცს უნებურად მათ წინამორბედ „მფრინავ ჰოლანდიელთა“ ვარსკვლავური თამაში გაგახსენდებოდა. ასე რომ, სამადლოდ შენარჩუნებული ფრე – 1:1 ბავარიულმა გრანდმა უფლის წყალობას უნდა მიაწეროს.

დანარჩენი შედეგები: აეკ – „ბენფიკა“ 2:3, „ლიონი“ – „შახტარი“ 2:2 (დონბასელთა ქართველ ლეგიონერ დავით ხოჭოლავას ამჯერად თავის გამოჩენის შანსი არ მისცემია), „ჰოფენჰაიმი“ – „სიტი“ 1:2, „მანჩესტერი“ – „ვალენსია“ 0:0, „რომა“ – „პლზენი“ 5:0 (სამი გოლი ედინ ჯეკომ გაიტანა).

გიორგი შოთაძე

◎ ინტერნეტიდან

„პამპიტა“ მაქსის უბრუნდება

თავისუფალი და თავნება არგენტინელი მოდელი ანა კაროლინ ანდოჰანი, იგივე „პამპიტა“ შესაძლოა თავის ყოფილ გულისწორს, თანამემამულე ფეხბურთელ მაქსი როდრიგესს ეურიგდეს. ამის შესახებ თავად ლამაზმანმა ბულვარულ მედიასთან საუბარში განაცხადა.

უკვე ერთ წელზე მეტი გავიდა, რაც წყვილი ერთმანეთს დაშორდა და „პამპიტა“ ამის შემდეგ მავან „ვერცხლის ქვეყნელ“ მსახიობ როფოლ ესნაიდერს ხვდებოდა. თუმცა, როგორც მოდელი ამბობს, საბოლოო ჯამში მაინც სიყვარულმა გაიმარჯვა და ამ ცოტა ხნის წინათ არაოფიციალური სტატუსით იგი და მაქსი არგენტინული საზოგადოების წინაშე კვლავ ერთად გამოჩნდნენ.

ჩვენ ადრეც გიამბობდით ანა კაროლინ ანდოჰანის საქმიანობის შესახებ, რომელიც მოდელობას კარგა ხანია გასცდა და ფეხთაშვერის ოსტატობამდე მივიდა. ეს გოგო პარალელურად ეროტიკულ ფილმებშიც კოხტად მონაწილეობს და იქ რა დღეშიც იქნება, ამის ახსნას სჯობს საკუთარი სულის სათუთ სიმებსა და ფანტაზიას მოვუხმოთ...

როსტომ რაჭველიშვილი

თანამდებობის პირთა პრემიები გაზრდილმა ხელფასებმა ჩაანაცვლა

28 სექტემბერს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) თანამდებობის პირთა შრომის ანაზღაურების სისტემის ანალიზი წარადგინა. 100-მდე საჯარო დაწესებულებიდან მოგროვილი მონაცემის საფუძველზე ირკვევა, რომ ის თანხა, რომელსაც ადრე თანამდებობის პირები პრემია-დანამატების სახით იღებდნენ, ახლა ხელფასებად ერიცხებათ.

IDFI-ს მიერ საშტატო ნუსხების ანალიზით იკვეთება რეალობა, რომ შრომის ანაზღაურების შესახებ კანონმა ვერ დაარეგულირა თანამდებობათა იერარქიის შესაბამისი ხელფასების პრაქტიკა. მაგალითად, 2018 წელს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, შსს, იუსტიციისა და საგარეო საქმეთა მინისტრების ხელფასები მათი მოადგილეების ხელფასზე ნაკლები იყო და 6 250 ლარს შეადგენდა, თუმცა მინისტრები ამ ანაზღაურებას ახალი კანონის დამტკიცებამდე იღებდნენ ხელფასთან ერთად პრემია-დანამატების სახით.

მინისტრების ხელფასის მაქსიმუმი, კანონით, 8 500 ლარია, მათი მოადგილეების კი — 7 500. ამჟამად მინისტრების სარგო მაქსიმუმზე დაბალია, მათი ზოგიერთი მოადგილის ხელფასი კი ზღვარს უტოლდება. კვლევის ავტორები ამგვარ რანჟირებას პოლიტიკურ გადაწყვეტილებად მიიჩნევენ.

პროექტის ხელმძღვანელი ლევან ავალიშვილი აცხადებს, რომ ახალმა კანონმა რეალური ცვლილებები ვერ მოახდინა ანაზღაურებების კუთხით.

მთავრობის გარდა კვლევაში შედარებულია პარლამენტართა შრომის ანაზღაურება 2017 წელს კანონის მიღებამდე და 2018 წელს კანონის მიღების შემდეგ. აქაც შემოსავლები უცვლელი რჩება, ის, რაც 2017 წელს პრემია-დანამატებად გაიცა, 2018 წელს ხელფასების სახით არის გაცემული.

ახალი კანონი შრომის ანაზღაურების შესახებ არ ეხებათ სახელმწიფო კომპანიებს, მარეგულირებელ კომისიებსა და სხვა უწყებებს. მათი ხელმძღვანელი პირები საჯარო სექტორში ყველაზე მაღალ ხელფასებს იღებენ. **დეკლარაციის მიხედვით, შრომის ყველაზე მაღალ ანაზღაურებას 2017 წელს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ხელმძღვანელი სულხან ზუმბურიძე იღებდა (341 700 ლარი 12 თვეში).**

კანონი შრომის ანაზღაურების შესახებ, რომელიც პარლამენტმა 2018 წლის დასაწყისში მიიღო, მიზნად ისახავდა საჯარო სექტორში პრემიებისა და დანამატების საკითხის დარეგულირებას, რაც ბოლო ხანებში საზოგადოების უკმაყოფილებას იწვევდა.

სოფო დათიშვილი

გამოსათხოვარი

ქართული ჩოგბურთის ამაგდარი

საქართველოს ქალთა ჩოგბურთმა დაკარგა ქართული ჩოგბურთის სახელის მსოფლიო დონეზე გამტანი, საერთაშორისო კლასის ოსტატი, დიდებული პიროვნება, ქ-ნი ალექსანდრა (ალა) ივანოვა.

ქ-ნი ალა იყო უაღრესად ტექნიკური, სწრაფი ჩოგბურთელი. მისი თამაში ხასიათდებოდა შემტევი სტილითა და სიძლიერით. ამ მონაცემების წყალობით ის 1964-1973 წლებში მუდმივად იკავებდა ადგილს ყოფილი საბჭოთა კავშირის უძლიერეს ქალ ჩოგბურთელთა ათეულში. ის იყო 1973 წლის საკავშირო ჩემპიონატის ფინალისტი, მნიშვნელოვანი საერთაშორისო თანრიგის გამარჯვებული და პრიზიორი.

დიდი სპორტიდან წასვლის შემდგომ იგი მუშაობდა თბილისის ჩოგბურთის კლუბ „დინამოში“ უმცროსი ასაკის აღსაზრდელების მწვრთნელად და მთელ თავის ცოდნასა და გამოცდილებას გადასცემდა მათ. ბავშვებთან მუშაობაში, რომელიც პროფესიონალიზმთან ერთად მოითხოვს სპეციფიკურ მიდგომასა და მეთოდებს, ქ-ნ ალას ბადალი არ ჰყავდა.

სასიამოვნოდ გვახსენდება, თბილისში მერიის სათანადო სამსახურის (ბ-ნ გიორგი არეშიძე) მიერ წარდგენილი პროექტის გაზიარება და 2015 წელს ყველასგან მიტოვებული, მივიწყებული ქ-ნი ალა ივანოვას სახელობის საჩოგბურთო ტურნირის ჩატარება. მისდამი გამოჩენილმა მოკრძალებულმა ყურადღებამ და დახმარებამ აღაფრთოვანა და სულიერად წამოწია ქ-ნი ალა.

ცხოვრებიდან წავიდა ქართველი საზოგადოების, მომავალი თაობის წინაშე ვალმოხდილი — ქართველი ჩოგბურთის ბრწყინვალე ვარსკვლავი, რომლის კვალზეც შემდგომ აღიზარდნენ მრავალი ცნობილი ჩოგბურთელები.

შევთხოვთ უფალს, შეეწიოს მართლმადიდებლობით აღსრულებულ ქ-ნ ალას და სული მისი სავანესა მართალთა დაანესოს.

მირიან ანდრიაძე,
საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის დამფუძნებელი, თბილისის ჩოგბურთის კლუბ „დინამოს“ დამფუძნებელი, პრეზიდენტი; საქართველოს ვეტერან და მოყვარულ ჩოგბურთელთა ფედერაცია.

ავტომობილების ტექდათვალიერება წარსულში ბრუნდება?

ავტომობილების ე.წ. ტექდათვალიერების რეფორმის წარმატებას საფრთხეს უქმნის სავარაუდო კორუფციული ინტერესები, რაც ეკონომიკის ყოფილი მინისტრის დიმიტრი ქუმსიშვილის გადაწყვეტილებებს უკავშირდება — მიიჩნევენ ამჟამად მოქმედი ტექნიკური ინსპექტირების ცენტრები. ისინი ფიქრობენ, რომ შესაძლოა დაბრუნდეს „შევარდნაძის დრო“ და ტექდათვალიერების მთელი პროცესი ისევ ერთი კომპანიის (ისევ „ალდაგის“) ხელში აღმოჩნდეს.

„ავტომობილების ინსპექტირების ორგანოების ასოციაციაში“ ბაზარზე მონოპოლისტი კომპანიის ხელოვნურ დამკვიდრებაზე ლაპარაკობენ და არაკონკურენტულ, ბარიერებით აღსავსე გარემოში ცენტრების ბიზნესის დაღუპვას პროგნოზირებენ. ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებას არაერთი კითხვა უკავშირდება, მაგრამ ტექნიკური ინსპექტირების ცენტრები ეკონომიკის მინისტრსა და პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას უკვე ორი კვირაა უშედეგოდ ითხოვენ.

ეკონომიკის მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილის 2018 წლის 8 იანვრით დათარიღებულმა ბრძანებამ განვითარების გზები მოუჭრა ცენტრებს, რომლებიც ე.წ. ტექდათვალიერების ბიზნესში არიან ჩართული, გაფართოება სურდათ ანდა ამ ბიზნესში ჩართვას გეგმავდნენ. გამკაცრდა მოთხოვნები და გაჩნდა ბევრისთვის დაუძლეველი ბარიერებიც, მაგალითად:

- **აკრედიტაციის მისაღებად დაწესდა უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის მოთხოვნა (თითოეული ხაზისთვის 100.000 ლარის ოდენობით);**
- **დაინტერესებულ პირებს მოეთხოვებათ ასევე წინადადება ხელშეკრულების ხელმოწერის საფასურის გადახდის თაობაზე (თითოეული ხაზისთვის სულ მცირე 50.000 ლარის ოდენობით). მინისტრის ბრძანებაში მითითებულია, რომ აღნიშნული წინადადება მოთავსებული უნდა იყოს „ცალკე კონვერტში“.**
- **ზღვარი გაივლო 2017 წლის 11 დეკემბერზე, ანუ აკრედიტაციის მიღების მსურველთა გარკვეული კატეგორიებისთვის შანსი არსებობს იმ შემთხვევაში, თუკი მათ 2017 წლის 11 დეკემბრამდე გადახდილი აქვთ სათანადო აღჭურვილობის ღირებულების სულ მცირე 10 %.**

როგორც „ავტომობილების ინსპექტირების ორგანოების ასოციაციის“ თავმჯდომარემ, თავადაც ინსპექტირების ცენტრის მფლობელმა **ვაჟა იორდანიშვილმა** უთხრა რადიო „თავისუფლებას“, ამგვარ ხელფეხშებოჭილ სიტუაციაში ე.წ. ტექდათვალიერების ცენტრებს კიდევ ერთი დიდი თავსატეხი გაუჩნდათ: ეკონომიკის სამინისტრომ ბაზარზე გზა გაუხსნა მონოპოლისტი კომპანიის დამკვიდრების პროცესს. ლაპარაკია „საქართველოს ბანკის“ შვილობილი სადაზღვევო კომპანიის, „ალდაგის“, შვილობილ კომპანია „პრემიუმ რეზიდენსზე“, რომელმაც ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2018 წლის აპრილში გამოცხადებულ შერჩევის პროცედურაში (ინტერესთა მოწვევა) გაიმარჯვა და ამის შემდეგ, 2018 წლის აგვისტოში, „გრინვეი საქართველოდ“ გადაკეთდა.

- **„გრინვეი საქართველოს“ ტექდათვალიერების 51 ხაზით ოპერირებისა და 10-წლიანი საქმიანობის უფლება მიეცა, მაშინ როცა უკვე არსებულ ცენტრებს აკრედიტაციების მოქმედების მხოლოდ 4-წლიანი ვადა აქვთ მიცემული.**
- **ინტერესთა მოწვევის პირობების თანახმად, მონაწილე კომპანიას ოპერირების საერთაშორისო გამოცდილება მოეთხოვებოდა, რაც ავტომატურად გამორიცხავდა შერჩევის პროცესში ადგილობრივი ცენტრების მონაწილეობას.**
- **კომპანია „პრემიუმ რეზიდენსს“ საერთოდ არ ჰქონდა საერთაშორისო გამოცდილება ტექინსპექტირების სფეროში იმ დროისთვის, როდესაც ის ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ შერჩევის პროცესში მონაწილეობდა.**

აგვისტოში„გრინვეი საქართველოდ“ გადაკეთებული კომპანია „პრემიუმ რეზიდენსის“ საერთაშორისო გამოცდილებას არაერთი კითხვა უკავშირდება, თუმცა, როგორც 1 ოქტომბერს ეკონომიკის სამინისტროში უთხრეს რადიო „თავისუფლებას“, „შპს „პრემიუმ რეზიდენსმა“, რომელიც ამჟამად ოპერირებს შპს „გრინვეის საქართველოს“ სახელით, აიღო ვალდებულება ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების მოწყობა განახორციელოს მსოფლიოში ავტომობილების ტექნიკური ინსპექტირების სფეროში აღიარებული ესპანური კომპანიის „Applus Iteuve Technology, S.L.U“ ტექნიკური მომსახურების საშუალებით“.

„მნიშვნელოვანია, რომ 2018 წლამდე ავტომობილების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების სფეროში აკრედიტებული იყო 27 ინსპექტირების ცენტრი, რომლებიც ფლობდნენ 37 ინსპექტირების ხაზს, ხოლო, დღეის მდგომარეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, აკრედიტებულია 40 ინსპექტირების ცენტრი, რომლებიც ფლობენ 89 აკრედიტებულ ინსპექტირების ხაზს. ეს ცალსახად მიუთითებს ბაზრის დივერსიფიცირებაზე და გამორიცხავს მონოპოლიის ხელშეწყობას“, — ნათქვამია ეკონომიკის სამინისტროდან რადიო „თავისუფლებისთვის“ მოწოდებულ წერილობით განცხადებაში. თუმცა, როგორც „ავტომობილების ინსპექტირების ორგანოების ასოციაციის“ ადვოკატი, იურისტი ლევან ალაფიშვილი აღნიშნავს, არის არაერთი შემთხვევა, როდესაც ეკონომიკის სამინისტრომ აკრედიტაციის გაცემასა და გაფართოებაზე უარი უთხრა უკვე მოქმედ თუ ბიზნესის დაწყების მსურველ კომპანიებს და ერთ-ერთი ასეთი ფაქტის გასაჩივრება სასამართლოში უკვე დასრულდა კომპანიის (შპს „სასწავლო და საგამოცდო ცენტრი-პტი“) მოგებით.

ლევან ალაფიშვილის განმარტებით, ერთი შეხედვით ამ ეტაპზე მონოპოლიის საფრთხე არ არსებობს და შერჩევის პროცესში გამარჯვებული „გრინვეი საქართველო“ (მანამდე „პრემიუმ რეზიდენსი“) ბაზარზე დაახლოებით 35 %-ს იკავებს, მაგრამ, როდესაც არაკონკურენტულ გარემოში ჩაყენებულ სხვა კომპანიებს 4-წლიანი აკრედიტაციის ვადა ამოეწურებათ, გამარჯვებული კომპანიის 35% შეესაძლოა 100 %-ად იქცეს და მონოპოლიაც აშკარა იქნება.

„ავტომობილების ინსპექტირების ორგანოების ასოციაციის“ მღელვარება დროში ემთხვევა ახალი ეტაპის დაწყებას ე. წ. ტექდათვალიერების რეფორმის პროცესში. 2018 წლის 1 ოქტომბრიდან ტექნიკური ინსპექტირება სავალდებულოა ყველა ავტომობილისთვის, რომლის ძრავის მოცულობა 3 000 კუბური სმ ან მეტია.

ლელა კუნჭულია.

გერმანია გაერთიანების 28-ე წლისთავს აღნიშნავს

გერმანიის ერთიანობის დღე — ეს არის ეროვნული დღესასწაული — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკების გაერთიანების აღსანიშნავად, რომლის შესახებაც ხელშეკრულება 1990 წლის 31 აგვისტოს გაფორმდა. 1990 წლიდან მოყოლებული გერმანიაში 3 ოქტომბერი გერმანიის გაერთიანების დღესასწაულია.

1990 წლის 3 ოქტომბერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითად კანონს შეუერთდა და საბოლოოდ გაერთიანდა ორი ქვეყანა, რომლებსაც 28 წლის განმავლობაში (1961 წლის 13 აგვისტოდან 1989 წლის 9 ნოემბრამდე) ბერლინის კედელი ყოფდა.

გერმანია ორ რესპუბლიკად 1961 წლის 13 აგვისტოს გაიყო. გამთენიისას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მცხოვრებლებს გერმანიის საზოგადოებრივმა სააგენტომ ვარშავის ხელშეკრულების შინაარსი ამცნო. 13 აგვისტოს დილიდან გერმანელებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და დასავლეთ გერმანიას შორის საზღვარი დახვდათ. სწორედ მაშინ აიგო ცივი ომის სიმბოლო — „ბერლინის კედელი“. ვინც კი მის გადაკვეთას მოინდომებდა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მესაზღვრეებს № 101 ბრძანებით ცეცხლი უნდა გაეხსნათ. კედლის გადაკვეთის პირველი მსხვერპლი აღმოსავლეთ გერმანიის მაცხოვრებელი რუდოლფ ურბანი იყო.

კედლის გადაკვეთის მსურველი ბოლო მსხვერპლი კი 20 წლის კრის გეფფროი იყო. მან ბრძანების გაუქმებამდე ორი კვირით ადრე კედელზე გადახტომა სცადა, რის გამოც სიცოცხლეს გამოასალმეს. კედლის სიმაღლე 6 მეტრი, სიგრძე კი 155 კილომეტრი იყო, მას 600 მოდარაჯე ძაღლი იცავდა. კედელზე 302 საგუშაგო ფუნქციონირებდა.

სტატისტიკური მონაცემებით, კედლის გადაკვეთა მისი აღმართვიდან 5043 ადამიანმა შეძლო, მათ შორის 574 სამხედრო იყო. კედლის გადაკვეთის ოპერაციის მომზადებისთვის სულ დაპატიმრებული იყო 60 ათასზე მეტი ადამიანი. უშუალოდ კედელთან დაპატიმრებულია 3221 ადამიანი. ბერლინის კედლის გადაკვეთისას ლიკვიდირებულია 1008 ადამიანი, მათ შორის 40-ზე მეტი ბავშვი და 60 — ქალი. ბერლინის კედლის არსებობის განმავლობაში მისი დანგრევისა და შტურმით აღების 35 შემთხვევაა დაფიქსირებული.

1987 წლის ივნისში შეერთებული შტატების მაშინდელმა პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა, ბერლინის გამყოფი კედლის წინ წარმოთქმულ სიტყვაში საბჭოთა ლიდერს მიხეილ გორბაჩოვს მოუწოდა, დაენგრია კედელი, რომელიც ქალაქს საბჭოთა აღმოსავლეთად და დემოკრატიულ დასავლეთად ყოფდა. „გენერალურო მდივანო გორბაჩოვ, თუ საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპისთვის მშვიდობა, კეთილდღეობა და ლიბერალიზაცია გსურთ, ამ კარიბჭესთან მოდით. ბატონო გორბაჩოვ, გახსენით ეს კარიბჭე. ბატონო გორბაჩოვ, ბატონო გორბაჩოვ, დაანგრიეთ ეს კედელი!“

1990 წლის 16 ივლისს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ჰელმუტ კოლმა და საბჭოთა კავშირის გენერალურმა მდივანმა მიხეილ გორბაჩოვმა ჟელეზნოვოდსკში მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც, საბჭოთა კავშირი გერმანიის გაერთიანებასა და მის ნატოში შესვლას ეთანხმებოდა.

ჭარბ წონაზე სახიფათო

სიმარტოვე ადამიანს გასუქებაზე მეტ საფრთხეს უქმნის, აცხადებენ ამერიკელი ფსიქოლოგები. ამის მიზეზი კი ისაა, რომ სხვა ადამიანებთან ურთიერთობა კაცის ფუნდამენტური მოთხოვნილებაა.

მასშტაბურ გამოკვლევაში 300 ათასი მოხალისე მონაწილეობდა. აღმოჩნდა, რომ მჭიდრო სოციალური კავშირები ადრეული სიკვდილის ალბათობას ანახევრებს.

მარტოობა კაცს გამუდმებით სტრესულ მდგომარეობაში ამყოფებს, რომელიც მის ჯანმრთელობაზე სიმსუქნეზე გაცილებით ცუდად აისახება.

კვერცხი, ფინიკი, ანანასი...

როგორც მამაკაცების, ისევე ქალების სექსუალობაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ცალკეული კვების პროდუქტი. კერძოდ, ქოქოსი ზრდის სპერმის რაოდენობას. თაფლიანი ქოქოსის რძე კლავს წყურვილს, სექსუალურ მადას. ანანასის წვენის, ახალი პაპაიასა და გახეხილი ქოქოსის სასმელი კი, ფერმენტების მარაგის გაზრდის შედეგად, სექსუალურ ინტერესს ზრდის.

ფინიკი. მისი ნაყოფი სისხლში გლუკოზის შემცველობის მატების პარალელურად, სპერმის რაოდენობასაც ზრდის. გლუკოზა კი, როგორც ენერგიის წყარო, სასარგებლოა ხანგრძლივი სექსის დროს. ამიტომაცაა, რომ ფინიკი სასიყვარულო საკვებად ითვლება.

კვერცხი. ესაა ცილოვანი პროდუქტი, რომელსაც საუკუნეთა მანძილზე სექსუალურ სტიმულატორად იყენებდნენ. სასიყვარულო დროსტარების დაწყებამდე მათ დიდი სიამოვნებით შეექცეოდა კაზანოვა, რომელიც ამ საჭმელს გაუთავებელი „სასიყვარულო მარათონის“ საწვავს უწოდებდა.

ნიორი. ეს ბოსტნეული დიდი ოდენობით იშვიათმიწა ელემენტ გერმანიუმს შეიცავს. მამაკაცს, რომელიც ნიორს რეგულარულად მოიხმარს, იმპოტენციის საფრთხე დიდი ხნის მანძილზე არ დაემუქრება, რომელიც სისხლძარღვთა შევიწროებასთანაა დაკავშირებული. ქალის კანს კი ნიორი დიდი ხნის ახალგაზრდობას უნარჩუნებს.

მარილიანი თუ უმარილო?

მლაშე საკვები დადებითად მოქმედებს მშვენიერი სქესის სექსუალურ ლტოლვაზე.

გერმანელ მეცნიერთა გამოკვლევებმა აჩენა, რომ დღის განმავლობაში 30 გრამი მარილის მომხმარებელ ქალებს სექსი კვირაში 2-3-ჯერ ჰქონდათ. იმ ქალებს კი, ვინც მარილიან საკვებს, ფაქტობრივად, არ მიირთმევდნენ, ასეთი სიხშირით სექსუალური კონტაქტები მთელი თვის პერიოდში „უგროვდებოდათ“. ამასთან დაკავშირებით, სპეციალისტები განმარტავენ, რომ მარილი (ანუ ნატრიუმის ქლორიდი) ტესტოსტერონის გამომუშავებას ასტიმულირებს — ეს ჰორმონი ლიბიდოზე, ანუ სექსუალურ ლტოლვაზეა პასუხისმგებელი. ამიტომაცაა, რომ მარილიანი საკვების მოყვარულ ქალებს მოჭარბებული სექსუალური ლტოლვა აქვთ. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ მათში ასევე გაზრდილია გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკი, რაც რაციონში მარილის სიჭარბესთანაა დაკავშირებული.

ყველას თავისი სადარდებელი აქვს

ქალებს და მამაკაცებს ცოლქმრული ბედნიერება სხვადასხვანაირად წარმოუდგენიათ.

ბრიტანელმა სოციოლოგებმა დიდი ხნის სტაბილური ურთიერთობების მქონე ორი ათასი კაცი გამოჰკითხეს. კვლევის შედეგად მეცნიერებმა გამოარკვიეს, თუ რა უნდათ მათ ერთმანეთისგან საბოლოო ანგარიშით.

აღმოჩნდა, რომ ქალებს თავიანთი რჩეულებისგან რომანტიკის უფრო მეტი გამოვლინება, ასევე სახლში სისუფთავის დაცვა სურთ. მამაკაცები თავიანთი ცხოვრების მეგზურებისგან უფრო ხშირ და ხარისხიან სექსს, ასევე ფულის ნაკლებად ფლანგვას მოითხოვენ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22) ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

სრ

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6133; ევრო - 3.0084;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3837;
100 რუბლი - 3.9882; თურქული ლირა - 0.4355;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5413;
1000 სომხური დრამი - 5.4005.

ამინდი 4 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +10,	დღე +29
მთიანი რაიონები -	ღამე +4,	დღე +24
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +13,	დღე +27
მთიანი რაიონები -	ღამე +9,	დღე +24
თბილისი:	ღამე +15,	დღე +28

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge